ლექსნი, თქმულნი

მეფის

# თეიმურაზ პირველისაგან

1591—1665

გამოცემული

ზაქ. ჭიჭინაძისაგან

წიგნსაცავი

თფილისი

სტამბა მ. დ. როტინიანცისა

1886

Доз. Ценз. г. Тифлисъ 19 Іюля 1886 года.

Тип. М. Д. Ротинянца на Голов. Просп. соб. д. № 41.

# მეფე თეიმურაზ პირველი.

## 1591—1665

მეფე თეიმურაზ პირველი იყო ძე დავით მეფის და ქეთევან დე-
დოფლისა. თეიმურაზის დაბადებას **1591** წ. მიაწერენ. თეიმურაზს
კახეთში ზრდიდენ. **1615** წ. მეფე თეიმურაზი სპარსეთში წავიდა,
ყეინთან, სამეფო საქმეების გამო. **1616** წ. საქართველოში და-
ბრუნდა და კახეთში გამეფდა. ამის შემდეგ თეიმურაზსა და ყეინს
შორის უთანხმოება ჩამოვარდა. თეიმურაზის ორი ვაჟი ყეინთან იყვნენ
მძევლათ. **1620** წ. თეიმურაზი სტამბოლს წავიდა, სულთანთან, შემ-
წეობის სათხოვნელად, ეს ამბები ყეინმა შეიტყო და გაჯავრებულმა
თეიმურაზის ორივე შვილები გამოასაჭურისა. **1623** წ. თეიმურაზი
იმერეთიდგან მოსული კახეთს მოვიდა. **1627** წ. თეიმურაზის დედა,
ქეთევანი აწამეს, ამის შემდეგ საქართველოში დიდი ცოდვის ღული
იღვრებოდა და თეიმურაზიც ვერაფერ სიკეთეს ჰმატებდა. **1634** წ.
ეს წავიდა იმერეთში და კახეთი კი მტერს ჩაუვარდა ხელში. **1636** წ.
იმერეთიდამ დაბრუნდა თეიმურაზი და დუშეთს მოვიდა, საიდამაც
დიდს ამბებს ხედავდა საქართველოს უბედურებაებში. დუშეთიდამ
კახეთს დაბრუნდა და **1639** წ. მთელი კახეთი დაიმორჩილა. **1640** წ.
დიდოელებმა დაამარცხეს თეიმურაზი. ამის შემდეგ საქართველოში
იმყოფებოდა თეიმურაზი და ცხოვრობდა. **1656** წ. რუსეთში წავიდა,
რუსის კარისადმი, საქართველოს სამეფო საქმეების გამო. **1659** წ.
თეიმურაზი დაბრუნდა რუსეთიდამ იმერეთში. იმერეთში საშინელი
ამბები იყო, ამ დროს, ყოველი სახლის შვილი ისე ჰგლეჯავდა თავის
ქვეყნის შვილებს, როგორც მგელი ცხვარს. ამის გამო თეიმურაზი
მალე დაბრუნდა და **1661** წ. თფილისში მოვიდა. ამის შემდეგ ბე-
რათ შეიმოსა და **1662** წ. სპარსეთში წავიდა, ყეინის წინაშე, სა-
მეფო საქმეების გამო, **1665** წ. სპარსეთში მოკვდა და ბერათ შემო-

სილი თეიმურაზი ქ. ასტრაბადში მიიცვალა. ყეინის ნებართვით თეიმურაზის გვამი საქართველოში მოასვენეს და 1665 წ. ალავერდის ეკკლესიაში დაასაფლავეს.

თეიმურაზ მეფე ქართულ მწერლობაშიაც იღებდა მონაწილეობას, თეიმურაზ მწიგნობარ კაცათ გვიხატვენ; ამას დაუწერია და უთარგმნია მრავალი წიგნები, სხვათა შორის ამისაგან დაწერილმა წიგნებმა ჩვენამდისაც მოასწიეს. მაგალითად: 1, პოემა „ვარდ ბულბულიანი“ თარგმანი სპარსულიდამ. თეიმურაზის სიტყვით ეს პოემა, სპარსულათ მოლა ჯაჯიმს დაუწერია. „ვარდ ბულბულიანი“ პირველად 1861 წ. „ცისკარში“ დაიბეჭდა. 1863 წ. ქართულს ქრისტომატიაში, 1875 წ. ცალკე წიგნად, ქ. თფილისს. და დღეს დაბეჭდილია თეიმურაზის თხუზულებათ პირველ წიგნში. პოემა „შედარება, გაზაფხულის შემოდგომასთან“ ეს პოემა პირველად „ცისკარში“ დაიბეჭდა და 1875 წ. ცალკე ბროშურად 3, „სამი ფარავანინი“ პოემა. სპარსულიდამ ნათარგმნი, დამწერის სახელი არ სჩანს. 4, არს ანბანთ ქება, ეს პოემა 1884 წ. „მწყემსში“ დაიბეჭდა. 5, პოემა მუსტაზადი, ანუ ქართულად „მაჯამა“, ეს პოემა პირველად 1859 წ. „ცისკარში“ დაიბეჭდა, ამ პოემას „მაჯამას“ მიტომ ჰქვიან, რადგანაც ყოველი ტაპის ყოველი სტრიქონის უკანასკნელი სიტყვა ერთი და იგივეა, მხოლოდ სხვანაირის ბრუნვითა და კილოს ჰზრით ისმარება. ბერძნულათ ამას „ომნიმუსი“ ეწოდებათ. 6, არს „ლეილ მაჯნურიანი“ პოემა თარგმანი სპარსულიდამ. შერის მოწმობით ეს პოემა აბუ მაჰმედ ბენ უსუფ შეიხ ნიზამედდინს დაუწერია 1180 წ. თავის სამშობლო ქალაქ გენჯეში. ეს აბუ შესანიშნავი ლირიკი იყო, ამან დასტოვა ლექსთა კრება, სადაც 2000 ლექსი ყოფილა. აბუს სიკვდილის შემდეგ ყველა ეს ლექსები ერთად შეუკრებიათ და ერთი სახელიც უწოდებიათ „პენდჟე-კენდჟე“ ე. ი. ხუთი სამკაული. 1, არს „მოხსენოლ-ერასი“ ე. ი. საიდუმლო მფარველი 2, ისკანდერ ნამე, 3, ხოსრო და შირინი, 4, ლეილ მედჟუნი და 5, „ხეპთეპეგრი“ ე. ი. შვიდი მშვენიერი. ეს პოემა ნემენცურადაც არის გადათარგმნილი ბ. გარტმანი-

სავან და 1807 წ. დაბეჭდილი. 7, არს იოსები და ზილიხანის, ანუ
„მშვენიერი ისობიანი“ სპარსულიდგან ნათარგმნი. შერის ჩვენებით ([1]
ეს პოემა დაუწერია მევლანე დჟამის (მოკვდა 1492 წ.) ამ მევლანემ
დასწერა პოემა „ხამეს“ ამის პირველი ნაწილს სხვა სახელი აქვს
„ტოსქუივულ-ებრ“ ე. ი. „საჩუქარი სისწორისა“, (***Подарокъ
Справедливости***) ეს პოემა არის ზნეობითი ასკეტიკური ლექსები,
მეორე არის დიდაკტიური პოემა, მისტიკურის მიმართულებით, რო-
მელსაც „სუბეჰსტურ-ებერ“ ჰქვიან. ე. ი. (ვარდის-კონა) ამ წიგნის
მესამე და მეოთხე ნაწილი მოგვითხრობს რამანტიულ ეპიკურ ისტო-
რიას იოსებ და ზილიხანისას. ჰყაამის წმინდა რამანტიულ მწერლათ
ხატვენ. შერიკი უარს ჰყოფს ამას. ეს პოემა ნემენცურად ბ. როზენ-
ცვეიგერმა გადათარგმნა და დაბეჭდა 1807 წ.—8, არს რამდენიმე
ადგილი „ილიადამ“ ჩვენამდის ვერ მოასწია. 9, გლოვა დედოფლის,
12 ტაეპია, დაუბეჭდავი. 10, არს პოემა „ღვთით რომელია“ 23
ტაეპია, დაუბეჭდავია. **11**, წამება ქეთევან დედოფლისა, ლექსათ დაუ-
ბეჭდავია. **12**, არს „ვისრამიანის“ გალექსვა. გალექსილმა ჩვენამდი-
საც მოაღწია. 13, არს ქება ლექსად წმიდა სამებაზე, დაუბეჭდავია.
**14**, სხვა ანბანთ ქება. **15**, არს ლექსები და ანბანთ ქება რამდენიმე.
**16**, ქება და მგობა კელმწიფის მეფის ალექსანდრესი და დედოფლის
ნესტან დარეჯანისა, დაუბეჭდავი. **17**, გრემის სასახლეზე თქმული
ლექსები. **18**, დავით გარეჯის მონასტერში ნახულ თამარ მეფის
სურათზედ ნათქვამი, დაუბეჭდავია. **19**, „ხრონოღრაფი“ ქვეყნის აღ-
წერა, გეოგრაფიულად და ისტორიულად, ბერძნულის და რუსულის წიგ-
ნებიდამ უთარგმნია. ამ „ხრონოღრაფმა“ ჩვენამდისაც მოაღწია. 20,
არს წვრილი ლექსები და ანბანთ ქებანი. ამასვე აწერენ ქართულიდამ
ბერძნულს ენაზე „ვეფხვის ტყაოსნის“ გადათარგმნას, როცა თეი-
მურაზი კონსტანტინეპოლში ყოფილა და სულთანს გარდა ბერძნებ-
თანაც დაახლოვებული კავშირი ჰქონია. ამ ნაწერებს გარდა სხვებიც

[1]) **Исторія литературы, Шерра, 1866 г. Петер.**

ბევრი რამ დარჩენია, მაგრამ ჩვენამდის ჩვენგან მოხსენებულთ ნაწარმოებეთ გარდა სხვამ ვერათერმა მოაღწია.

თეიმურაზ მეფეს ანტონ კათალიკოზი იამბიკოს უძღვნის „წყობილ სიტყვაობაში“ და დიდათ აქებს, რომ იგი მონოზნობაში გარდაიცვალაო. — თეიმურაზ პირველის ცხოვრება ლექსად აღწერა არჩილ მეფემ, რომელ აღწერაც 1853 წ. ცალკე წიგნათ გამოვიდა, ამ პოემას ეწოდება „ცხოვრება მეფის თეიმურაზ პირველისა“. მეფე თეიმურაზ პირველს ძველი ქართველი მელექსეები და მეისტორიები ერთობ დიდი მნიშვნელობას აძლევენ. თეიმურაზ მეფეს პირ მოურიდებლივ ადარებენ შოთა რუსთაველსა და პოეტურის ნიჭით და ცოდნით გვერდს უყენებენ. მრავალმა მელექსემ დასწერა გაბაასებითი ლექსი ჩვენს ძველს მწერლებზე და იქ შოთა რუსთაველთან თავისუფლათ ასაუბრა თეიმურაზი. ერთი სწერს, რომ თეიმურაზი ენა რიტორი იყოვო, მეორე სწერს, რომ ბრძენი და ფილოსოფოსიო და მესამე სწერს, რომ შესანიშნავი მხედარი და სხვანიო.

1879 წ. აგვისტოს 1-სა.

ზ. ჭ.

* *
*

პირველ თქმულია ბრძენთაგან სიდარბაისე მესხისა,
ომი და შებმა კახელთა მოსაწონია არს სხვისა,
ჩუქება პურად გაცემა, ქართველთა არ ეზრახვისთა,
და ზრდილნი არიან იმერნი, მტერთა მიმცემი რისხვისა.

* *
*

კაცმან უნდა თავის საქმე ყველა ღვითა მოივარგოს,
ამ სოფელსა ხელი ჰყაროს, იქაც ბარგი დაიბარგოს,
მოყვარეთ და ამხანაგთა თავის რიგით რამე არგოს,
და სახელის ხე საჩრდილობლად, წყლისა პირსა რამე დარგოს.

1631 წ.

## ენა

ენა ტკბილი, ენა მწარე, ენა მოკლე, ენა გრძელი,
ენა სევდის უკუ მყრელი, ენა ქვეყნის შეცა—მძვრელი,
ენა მკურნალ სნეულთათვის, ენა მთელთა ლახვრის მკვრელი,
ენა სული სულთ მობრძავთა, ენა ზოგჯერ სისხლის მღვრელი.

1632 წ.

* * *

ესე არს სიბრძნე ბერძენთა, პირველ ფილოსოფოსობა,
მკურნალობა, რიტორება, მერმე ღრამატიკოსობა,
ქვეყნის ზომა, ვარსკვლავთ რიცხვა, სიტყვის შეთხზვნა, მუსიკობა,
და ბრძოლის წესი, ხელოვნება, ძნელ ნივთთა შეტყობილება.

—

ეს გადარჩა ოთხ სტრიქონსა, თორმეტისაგან მგონარესი,
ბუნებითი მეტყველება, სიბრძნეთა მოუშორესი.
აგრე რიცხვითა მეტყველმან, თავი სხვათ ბრძენთ მორიეს,
და ვინც ეს თორმეტი შეკრიბოს, სულ სიბრძნე დაუმორიეს.

**1635 წ.**

## მ ა ჯ ა მ ა

კვლავც მითქვამს სიტყუა უქმისა პატიჟმან შემაშინაო,
ყოველნი განვლით სოფელსა არვინ დავრჩებით შინაო,
სულის არ განმსვენებელო, მგზავსად პირუტყვთა ფშვინაო,
ჲ კარი დაგვეხშვის სასძლოსა გვესმის ნუ მოსვალ შინაო.

ლექსთა ღარიბთა უცხოთა რომელ არს გამოკრებული,
მომინდა წერა ამისთვის არ იქმნას დავიწყებული,
კაცი ბრძენი ჲ გამგონი ვინ იცის შესვედს სწრებული,
ჲ ცუდად არ წასდეს ნაშრომი დამევსოს ცეცხლი დებული.

ქართულად ჰქვიან „მაჯამა“ შეყრილათ ითარგმანების,
წიგნები გამოკრებული იგ ერთად მოიყარების,
იკითხვიდენ და სთარგმიდენ ლხინი არ შაედარების,
ჲ გული მოყვარე სიბრძნისა მასთანა დაედარების.

მზე ცუდ მაშვრალობს ვერ ნათობს ეტლზე შენ ზიხარ ისარა,
სხვამ შენგან კიდე სამყარო ვინ გაისხლა ისარა,
მელნისა ტბამან გიშერი ტევრად გარ ივლო ისარა,
ჲ მუნით მკრა გულმან ტყვე ქმნილსა გლას შავმან მშვილდმან ისარა.

თქვენ მზესა სწუნობთ მე მას კეჭვ ეტლსა სხვა ვინმე ისარებს,
ეგ ცუდად ფანტავს სხივთა და უკეთ ანათებს ისარებს,
მელნის ტბა ტევრად გიშერსა გარს შემოივლებს ისარებს,
ჲ ესვრის მჭვრეტელთა გულებსა, ეკალმუხისა ისარებს.

გული ქმნილა ნარგიზთათვის გლას ლასვრთა ასასხებლად,
ვერ ძილიდვა თვით რად ხელჰყვეს მაშ მნათობთა ასახებლად,
მით იძლივნეს მოიკიცხნეს ედემს ნორჩი ასასხებლად,
ჲ მსურს ის მისთვის გაჭრა ჴელ ქმნა, ვიწყო სულთქმა ასასხებლად.

ვერა გაქვს ბრძენთა კრებულთა უტყვ იქმნეს პირი დაეყო.
ცჲერთ მიელო ნათელი სრულ შენგან არ თუ დაეყო,

გაუჩნდებოდა სიტურფე ვარდს შენთან ხანი დაეყო,
და გლას ცრემლთა ჩემთა ნაკადი ვფუცავ სოფელსა დაეყო.

შენთვის ხელმან გლას უშენოთ, მითხარ მზეო, ია მოსრა,
შენმან ეგრე სიტურფემა ვარდი მოკლა ია მოსრა,
წარბ წამწამმან გული კრული პირველ მოკლა, მერე მოსრა,
და არა ჰგევსარ ქვე ნაყოფსა, მზეო, იწყე, ბარე მოსრა.

ერთი გული მაქვს სიკვდილო, მოყვრისად შემიწირავსო,
არც შენთვის ვეღარ დავბადო, ვერ მოგცე ნუ გიკვირავსო,
იგ არს პატიჟთა მიზეზი სად ვარდს ქვეშ ბროლი სჭვირავსო,
და გული მას მიჰყავს არ ვიცი ჩემთვის რა გაუპირავსო.

ყაყაჩოს უთხრეს ყვავილთა, რადგან შენ გვსჯობხარ ფერადო,
სუნი არ გიდის სურნელი ეგ საყვედურად მძე რადო,
თქვა ტურფამ ვინმე გაწყრომით, მიბრძანა, მგევხარ მე რადო,
და გული წამართვა, დამაგდო ლასვართა დასაძგერადო.

თავმან შენმან რისხვა უნდა კადრებისა დაუმალსა,
მაგრამ რავქნა სხვითა ცეცხლსა სულ დაუწვავს გული ალსა,
დაუჭრივარ ალმასისა მიდგომილა დანა ძვალსა,
და თუ არ მიხსნის შევდგომილვარ მაჯნუნისა მე გლას კვალსა.

შენებრ ნაყოფი უფალმან ხამს ედემს თვით რგოს მანასო,
უანდაარს ნირი შაქრისა ვარდმან ბაგემან დანასო,
მუნით ნაკადი სიტკბოთა უკვდავ ჰყოს ვისაც მანასო,
და ისწრაფის ყოვლი მიჯნური ვინძი ესიოს მანასო.

გრძლად მატირა საწუთრომან ცრემლთა ღვარი დამელია,
მიჯობდა თუ სიკვდილისა გლას სასმელი დამელია,
მამაძუღლა თვისთა ტომთა ძმა არ ძმმო დამელია,
და აწ სოფელო, ვარდთა ზრობა მამკალ რადგან დამელია.

მზე უნათლს ჰქმნე ეტლსა ზი, შუქნი კრთებიან სადარი,
ამად ვსტირ მაგრამ რაზომ ხამს, ეგზომი ცრემლი სად-არი,

ვარდსა მისტაცე შვენება, ბადახშანს ლალი სადარი,
და ბროლსა სცვენ ძოწნი ბაგენი, ფერად არღავნის სადარი.

ბრძენთა მოვასხამ საქებრად დიონოსითურთ კრებულად.
ბაგნი მოგიძღვნა მთვარემან გნახა უმეტეს ვსებულად,
მაგრამ ვით ხელ ჰყონ მზე ნახეს თვით შენგან ნათელ კლებულად,
და გლას ჭმუნვით გასდა პირს იცა, მისთვის აჩნია ლებულად.

გული ნარგიზთა ლახვარმან დასჭრა, დახია ასერა,
მუშკი ხარ, ზილფი, ამბარი, ნახეთ რა მიყოს ასერა,
წამწამთ ინდოთა ლაშქარი, ჩემზედ აწვია ასერა,
და მე მომკლა, მხეცნი, მფრინველი ჩემზედ ხადილად ასერა.

მე დამემტერა სოფელი, მტერთანა ყოფა მეყოფა,
ჩემ კერძ არ ბრუნავს საწუთრო, მისთვის მომძულდა, მეყოფა,
რა გამეყარა მოყვარე ხედამთ რომ სულიც მეყოფა,
და გული სავსე მაქვს ლახვრითა, სხვა კიდევ აღარ მეყოფა.

ტურფა ხარ შვენიერებით, ტანი მიგიგავს საროსა,
ვაჲ შენისთანსს მიჯნურსა ვერვინ ელირსოს საროსა,
კაცი ხამს შენთვის გაიჭრას და ლხინი გაიმწაროსა,
და ტარიელ ქვაბსა ესტუმროს მაჯნუნთან დაემყაროსა.

მისგან გასდეს მეცნიერნი, არს უცნობნი დანაცარად,
მან დამიჭრა გული წამწმით, მოიხმარა დანაცარად,
სრულად დამწვა სხივთა ცეცხლმან, ლამის ვიქმნა დანაცარად,
და დამეგრისა ბედი მრუდად, არ ვეჭვ ვიქმნა დანაცარად.

უწყის ღმერთმან, ვერვის ვხედავ ქვეყნად შენსა დანაგზებსა.
დაუწვავარ იგ უწყალოდ ცეცხლსა შენგან დანაგზებსა,
გულისათვის დასალახვრად წამწამ ჩემკენ დანგზებსა,
და ხამს მივმართო მანჯუნისა, წანავალსა და ნაგზებსა.

მოიგონე საყვარელი შენთვის თავის განაწირა,
კაცს აცხოვნებს სამართლის ქმნა, უსამართლოდ განა წირვა,

გულს ლახვარი სიშორისა ათასი მკრა განაწირვა,
და სჯობს დაგზნა სიყვარული დავსებული განაწირვა.

გულსა გულზედ მითარ მიცვლი, გინდა რამე მოგცე სართად,
თავსა მოგცემ უმჯობესა, რაღა მოგცე ზედან დართვად,
არ დამიჭერ ვფიცმ ფიცსა, ცეცხლზედ მივცემ ზედან დართვად,
და უწყალოდ სვამ სისხლსა ჩემსა ღვინის ნაცვლად ზიხარ დათვრად.

მარგალიტსა და სადაფსა იაგუნდი სცავს და ლალი,
მას გული ჩემი მიჰყიდა ვინცა ვინ იყო დალალი,
მამკლეს ტირილის სანაცვლოდ სისხლი აქვს ჩემი ალალი,
და ჩემის ლხინისა ყვავილი უმზეობამან დალალი.

ბროლ მინაზედან გიშერი ვარდმანცა თავი მუნარა,
სულ შვენებისა ყვავილი არ დარჩა შეკრბა მუნარა,
ვერსით შეუელ საკრებლად ეკალნი დამხვდნენ მუნარა,
და ზესთა ნათელთა მიელობელი ამისთვის დაიმუნარა.

გული ცეცხლი სურვილისა არ დაავსე შენ უკეთე,
მე მუნ დამწვი აწ ლახვარი მგონივ მოგხვდეს შენ უკეთე,
გნახე აგრე შენ უთმობლად თავსა ხელქმნა შენ უკეთე,
და ყველა მით ჰქმეს გნახე ვინმე მნათობთაგან შენ უკეთე.

გული წამართავი ცნობითურთ, მითხარ ნაცვალი მომე-რა,
კელარა გპოვე საჩემოდ გაყრისა სევდა მომერა.
ვარდო, წალკოტისათისა თვალნი რასათვის მომერა,
და დამწვი და წყალი არ მომეც, დამწვარსა გულსა მომე რა?

ბულბულთა შექმნეს ძახილი, აგრე გაქვს ვარდმან იშალა,
გულსა გაჭრა და ხელობა უშალე არ დაიშალა,
ხამს თუ მიუწურმან ტან საცმლად სტავრისა ნაცვლად იშალა,
და გლახ შენმან შუქმან მნათობნი არავინ მითა იშალა.

ვარდი დაჭკნა მზემან შუქი აღარ მისკენ მოაწურვა,
ცრემლთა ღვარი გაუწყვეტლად ერთ წამს აღარ მოაწურვა,

არ ვეწყალვი მას ქვა გულსა, სული ყელში მოაწურვა,
ჶ მომეშალა რადგან ლხინი სევდა ზრუნვა მოაწურვა.

მზესა შესწროვა მისგან შუქი ხედავთ ვეღარ მონად არა,
მთვარე სავსე დარბის მაგრამ, ვეჭობ მისთვის მონად არა,
წალკოტს ვარდი მის ლაწვთათვის გამოჩნდების მონად არა,
ჶ რად დაჭგროვდა ჩემთან ეშყი მისთვის მაქვსო მონად არა.

ვერვინ ნახოს მისებრ ვინც ვლოს ოთს ყურესა მონაკიდე,
ოდეს გნახა გავსებული მთვარე გახდა მონაკიდე,
ვითარ დასწვა სიშორისა გულსა ცეცხლი მონაკიდე,
ჶ გლახ ვით ვძლიო სურვილისა მძიმე ტვირთი მონაკიდე.

შავმან მშვილდმან ისარი მკრა გულსა ზედან დანასობი,
ეგ ზომ დაჭკრა გულსა შინა, რომ მოჭკიდა დანასობი,
ლაწვთა მისთა შვენებითა ვნახე ვარდი დანასობი,
ჶ ვეღარ ვნახე მთვარე მისგან, მონავანი დანასობი.

დავლე საწუთრო შენებრივ, მოისრა ვნახე აისრა,
ეს მიკვირს გული ქვა ქმნილი ვით ერთ წამ ეგრე აისრა,
მკითხევდნენ შენნი მნასველნი თუარ მზეაო აისრა,
ჶ მე ვუთხარ მისი სამყოფი მნათობთა გვერდით აისრა.

ეტლი ნატრობს მგზავსად მზისა ზურგზედ დამცა ისრად მასვა,
ამად ვსტირი სხივნი მისნი გულზე დამცა ისრად მასვა,
მიწყივ მით მთრავს ათასი მცა სურვილი და ეშყი მასვა,
ჶ ვის ერჩიოს სოფლად ყოფნა, არ გაიჭრა მისთვის მასვა.

მთვარე ვერ დაგედარება, ვერცა მზე დაგედავისო,
მიწა და მტვერი შენ ფერხთა თავსა და პირსა დავისო,
შენი სხივნი და ციმციმნი გულზედან ლახვრად დავისო,
ჶ ცუდათ გაქრებენ თინათინ, ნესტან დარეჯან დავისო.

რად ვერ ხედავ ბულბულისა, ხელქმნა, გაჭრა, განა ვარდსა,
შეუშლია, ჭყეფს, იძახის, სხვას არასა, განა ვარდსა,

თავს ევლება ზედ დაჰფრინავს, არაპირებს განა ვარდსა,
ვით არ დაჭკნეს, თვითარ მოკვდეს, არ იქმს ხელი განა ვარდსა.

ეშურების ბაგე ვარდსა, სისხლი ჩემი მალე სვასა,
გულსა დასა ალმასისა სჭრის არ ელის მალე სვასა,
თვით თავსა ჰყოფს მოწყულად დამიმკვიდრებს მალე სვასა,
აგრე შექმნა მზე და მთვარე დაუწყებენ მალე სვასა.

ბულბულს ხედავთ ვარდისათვის ნაელარსა, დანარევსა,
იგ ხელთა—ებრ ტყუბა, კვნესით აქა იქი დანარევსა,
თავს დაჰყივის მისსა მკვლელსა, გულსა შინა დანარევსა,
იძახის: „თუ რად ვერ მხედავთ, ხელსა სოფლით დანარევსა“!

აწ ბულბულო, ყველა გხედავსთ ხელსა სოფლით განაჭერსა,
ჩაჯდომისარ ეკალშია, სახლს არ ექებ განა ჭერსა,
გვიჩვენებ და შემოგვჩივი გულსა ლახვრით განა ჭერსა,
მოგიტან და გაგიკურნებ ვარდსა ხელით განა ჭერსა.

არ დაუშა გულსა კრულსა, რომ ლახვარი მას არ ესვა,
ეგრე ჭმუნვა, სევდა, ურვა გაუწყვეტლად მას არ ესვა,
წყლულთა მისთა საკურნებლად გლასა მკურნალი მას არ ესვა,
ეს მიკვირს, თუ რად არ მომკლამს, იგ ეგზომი მას არ ესვა.

აწ გულსა კრულსა ნელ ქმნილსა, ხედავ უპირებს მორევად,
რალად სულდგმულობს ლახვარი ვითა მუდამა მორევად,
გლას ჩემთა ცრემლთა ნაკადი რაზდენ დაადგა მორევად,
აწ რადგან მომკლა ნიშატმან მიმიშვით მივყვე მორევად.

სოფელმან და ყამმან კრულმან ლხინი ჩემი განაქარვა,
ათასი და უმეტესი, ჭირნი ჩემნი განაქარვა,
რა ბრალია მინა, ვარდი, ოდეს იქმნა განა ქარვა,
ამას ვსჯერვარ მით რომ ერთი დღე არ მომხვდეს განა ქარვა.

ანელებდი ნუ უკეთებ, გულო, ცეცხლსა დანაგზევსა,
თვარ წინა გიცს მიჯნურისა, ხელქმნა, გავლა დანაგზევსა,

ვერ მორჩები დაულასვრად წამწამთაგან დანაგზევსა.
იგი მითქვამს, მას კვლავ ვიტყვი, ესე სჯობსო დანაგზევსა.

რად არ დამწვრის გულსა კრულსა ალმასისა დანა ტარით,
რად არ გიკვირთ არ გავწირილვარ სოფლის სივრცე დანატარით,
რად ვერ მხედავთ საწადლისა მე სიკვდილსა დანა ტარით,
ბრუნავს ჭკვა ცნობითა ჩემით, ვით დიაცთა დანა ტარით.

თვალთა კეკლუცთა ტურფათა მე ყმად მოუყვალ მაშენსა,
ეგ მაშინც გულსა უწყალოდ წამწამ ლასვრითა მაშენსა,
შენკენ არ მოვიხედაო, ამით მალოხებს მაშენსა,
თუ ფერხთ არ შემოიხვევდე ეგრემც მამთხვივე მაშენსა.

წამწამს მესვრის შავი მშვილდი ისრად გულზედ დამალებსა,
ესე გვარმან მომისწრაფა სიკვდილისა დამალებსა,
იგი ნახოს მოვანებით მთვარეს მართებს დამალებსა,
მარად ქებად ბრძენთა მართებს ენა ქებით დამალებსა.

ზედ გარდასდის ბაგე ვარდსა სისხლთა ჩემთა მონასხამი,
დამაჩნია შავი ისრად გულსა ზედა მონასხამი,
ნასროთ თქვენცა მოგეწონოსთ მნათობთ გვერდით მონასხამი,
სრულ ციერნი დაიმონა ვით მალ ედვა მონასხამი.

მე ვისთვის ვკვდები ბროლ ლალი და მისი მონავარდია,
თვალნი მელნისა ტბას უგავს ზეციდგან მონავარდია,
იგი აშვენებს ხმელეთსა მზე ცუდათ მონავარდია,
მაგრამ მკვლელია კაცისა შეყრისა მონავარდია.

ბროლ ვარდსა ტანად საროსა გიშრისა ბალი უშენდა,
ღაწვთაგან ელვა კრთებოდა მჭვრეტელთა ისრად უშენდა,
წიგნი მივსწერე, ებრძანა, ეს ვით მკადრეო, უშენდა,
გულს უთხარ, თუ არ შეგიყრის ველად გაიჭერ უშენდა.

ვიცი მოგკლავს იგი პირ მზე, მისთვის ხოტბა დანაზარსა,
ამად რომე ზარიფია, იგი ტურფა დანაზარსა,

მეტი რა ვყო, თავსა უძღვნი, მოვახსენებ დანაზარსა,
მაშინც აგრევ შევეწყალევი მიგონებდეს დანაზარსა.

მოუკლევარ მისგან სხივნი მე შემქნია დანა ტანსა,
ბროლ ბალახშთა მარგალიტთა ვარდსა ქვეშე დანატანსა,
გული მისკენ მიუზიდავს ხელსა წრაოვით დანა ტანსა,
მისთა მჭვრეტთა გასხელებს სჭრის ვითამცა დანა ტანსა.

ნეტამცა ვინმე სიკვდილსა, მიმცა და არ დამაზარა,
ლხინისა ნაცვლად სოფელმან სულ მატირა დამაზარა,
უყვავილომ და უვარდომ ღვინომ რამცა ⁝ქმნა მაზარა,
აგრემ რამ მოსჩანს სოფელი ბოლოს მიპირებს მაზარა.

ხოსროვის ცრემლი ნადენი ხვლავ დაამრავლის მილები,
რა მოაგონდის მოყვარე და დღენი წასდომილები,
ვარდსა ასველებს ინდოთა რაზმი ⁝სჩანს უნდა მილები,
ტყვის შენვე ხარ სიცოცხლე, გული რაზომცა მილები.

ჭირნი მოვლენ მუდამ ჩემთვის მოკლებლად ამა სალა,
მოაქვს ცეცხლი მოსადებლად, უკან მოსდევს ამა სალა,
ალმასისა გულსა ფარად ხამსა და უნდა ამა სალა,
ამისთვის ⁝სჯობ მზე მთვარესა არაჩნია ამა სალა.

რადგან არ ვცხრები ქებასა ვგონივარ ვისმე მისანი,
აწ ჩემთა გულთა ლასვარი სათი მაქვს სათათ მისანი,
სიძლნე შავთა წამწამთა სიმსხო, სიხშირე თმისანი,
იმისი შუქი მზეს მატობს, წითლითა ათას თმისანი.

მე თქვენს ქებასა ვერ მიხვდი არც ჩემგან მოიგონება,
ია და ვარდი გაშლილი კვლავ თქვენთვის შეიგონება,
ალმასსა, სჯობსარ იმთენსა რაც ხმელეთ შეეწონება,
თქვენსა მნახველსა უღრუბლოდ მზეც არად მოეწონება.

რა ვსთქვა წამწამთა დარაზმა, მიჯრით მიწყობა წარბისა,
ვარდისა ბაღსა ელვა კრთის, ზედან ციელი წარბისა,

მისთა ნაყნოსთა სურნელთა სული გავს განა წარბისა,
მისთვის ბნდებიან მჭვრეტელნი ქვე ყრიან ველარ წარბისა.

თმის ტევრი და წარბთა სისქე მიჯრით ბალსა შენი არს,
სულ სულნელთა სული შენ გდის დასაჩავრე შენი არს,
სხივნი შენნი გულსა ჩემსა მოეფინა შენი არს,
წყლულთა ჩემთა ვინ კურნებდა მოსწრებოდა შენი არს.

მელნისა ტბათა უჩრდილებს გიშრის წამწამთა შენება,
მთვარე მზეს ეტყვის მჯობია, მოწმობით დართე შენნება,
მისთა მჭვრეტელთა მივხდების ღვთისაგან ზე აღშენება,
ხამს სამეფოსა ტახტზედა წამს გაუვლელად შენება.

მოგწონდების დამნასხველთა თმა მელნისა და გიშრისა,
მიმდის მისსა მგონებელსა, თვალთა წყარო დაგიშრისა,
ჰე, რიტორნო, თქვენც აქებდით, ენა თუ არ დაგიშრისა,
მზე მთვარეთა სინათლესა ვფიცავ რომ ის დაგიშრისა.

ბადახშის ლალის მჯობია ყირმიზად გამჭვ[illegible]სა.
პირშიგან თეთრი ელვა ჰკრთის უბრწყინვა[illegible] ბროლისა,
აწ მათსა ქებას უმატოთ ვინ ვისთვის [illegible] მსუბუქალისა,
გარდამსდელია მჭვრეტელთა ის საწუთ[illegible]ოსა ვა[illegible]ისა.

თქვენი ნახვა წყლულთა ჩემთა უფრო ც[illegible] მოეკვიდა,
მოიშალა ბროლის სვეტი მკერდსა ზე გარდმოეკიდა,
აღმოფრინდა გული გულსა, ჩემი თქვენს გამოეკიდა,
თუმცა გინდა ცოცხალ ვიყო კვალავცა მნა[illegible]

ბაგე ტკბილი მარგალიტი ლაწვი ლალი [illegible]
ვინ არ აქებს სამართლითა თავს ეცემის მა[illegible],
სადაცა დგის სინათლითა აუვსია მას არია[illegible]
ვარდის ბასრა მაისისა ვერ ედარვის მას ა[illegible]

ანდამატისა მკერდზედა, ბროლისა, სვე[illegible],
ამას უჭვრეტდა თვალ ხუჭვით ახედვით ვერ [illegible]

ნახვად მისდინდნენ ტრფიალნი სხვა ვალი არა ემართა,
მზე მასთან გასდა უნათლო საწყალსა ეს დაემართა.

ნეტარ ვით უქო სიტურფე სამო ტანადობისა,
მზე მისთა სხივთა გარ-უკრავს იწყო მო ტანადობისა,
მანც გატყდა მჯობსო ნებითა დართო მოტანადობითა.
საყნოსელთაგან ამოქრის სული მოტანადობისა.

მზეო, შენ შენთა მჭვრეტელთა ლახვართა გული სარუა,
ჩასდის სისხლთა რუ ნაკადსა სიღრმესა სადა სარუა,
შენზრივ სული ყვავილთა ქვეყნად არ უდის არუა,
ეგ შენი ტანი ზარიფი ტურფად აღზრდილი სარუა.

ალვა რგული ედემს რწყვითა მნახველთათვის სამოთხეა,
ვნახე თვალნი დავისუჭნე სიტყვა ძლივ ვსთქვი სამოთხეა
გიშრის შუბთა წყლული დამდვეს სისხლი ველსა სამოთხეა,
არას მოგავს სამყარონი ედემი ვერც სამოთხეა.

ლომთა შენთა შენ აწყლულებ დაბნედილსა მას კლავისა,
ვინ გმირია მხეცთა მსვრელი იმედი აქვს მას მკლავისა,
წამწამ შენთა ლახვარ შენთა ყელს გამოსევ მასკვლავისა,
დღისი მჯობი მზე მთვარეთა, ღამე ზუალ ვარსკვლავისა,

ალვისა ხისა ქება ვსთქვა ედემში ამოსულისა,
ბროლ ლალი მისა გიშერი ფერად შეხედო სულისა,
მჯობიხარ მზისა დილისა მოწმენდით ამოსულისა,
შენ ხარ წამალი გულისა მის შენკენ წამოსულისა.

მეფე ბრძანებს მე ესე მზე ღმერთმან ჩემმან დამიბადა,
მისთვის იყო შესაწირვად რა მიბოძა დამიბადა,
გულსა კრულსა მასე უდგა შეცა იპყრა დამიბადა,
სახვეველი სამთხელისა გარე სამდვა დამიბადა.

ესე არის ზეციურთა უნათლესი სამყაროსა,
თმა ტევრი და შუბლ ფიქალი კლდისა ტინი სამყაროსა.

ქება მესმა სახლით ჩემით სწრაფვით ღამის ამყაროსა,
და არად მიკვირს მჭვრეტნი მისნი იმად დაასამყაროსა.

ნეტა-ვინა მისი მსგავსი სად ვინ ჰპოოს დარანიცა,
მისგან შვენის მთა და ბარი დარი დარობს დარანიცა,
მისგან ნათლად არა აჩნდეს რა-იპოოს დარანიცა,
და მჯობი არის ყოველთა სულთა და მინახავს დარანიცა.

აწე მე ვიწვი ამისთვის, თავი ვინ ელვას უდარა,
ქვეყნად არ-არის მისთანა ნურცავინ აქებს ცუდარა,
მზე აღმობრწყინდა ულრუბლოდ სულ მორთვით ხმელეთს უდარა,
და მისთვის ვძრწი არ მომიძულოს თვარ მამინდების სუდარა.

მას პირ მზესა შეუქმნია ხმელთა მნათი მისად უდრად,
შეკრებულა შუქი მზისა საქებრად და მისად უდრად,
შევეხვეწოთ გაიღიმოს არ გასადოს ხმელი უდრად,
და მან არ უყოს მის ხელ ქმნილსა სატირლად და შესასუდრად.

მინდოდა ქება ქებაზედ სხვანიც ბევრი რამ წამ ერთო,
არ დასაცალე სოფელო, კრულო, მოკლევ და წამ ერთო,
მისგან დამება გონება ტკბილი სიტყვები წამ ერთო,
და მინდოდა ცრემლი ზღვათათვის ჩემი ნიადაგ წამ ერთო.

დადნებოდა გული კლდისა თუმცა ჩემი არიარა,
მომიღვრია ცრემლი ველთა არ დამირჩა არიარა,
სვედა ეცა გონებასა ძნელ პყრობილი არიარა,
და ამად ვსტირი ხელი თქვენი ბალსა ჩემსა არიარა.

ვინ მას ნახავს მზეს დაახავს იტყვიან თუ ალვის ხეა,
მუშკამბრისა სული მას სდის მგონივ ყვავლა მას ასხია,
ესვეწების ცისა მნათნი მუქნი შენნი გვავასხია.
და გვიბძანებს მისთა ხელქმნილთა სისხლი ველთა მოვასხია.

ვერღარას მივხვდი თუ ქება ჩემი ითქმოდა დარიითა,
მე ვიღვრებოდი ცრემლითა აროდეს ვიყავ დარიითა.

იგი აკრთობდა ელვასა მისვე მზისა დარითა,
და ნურვინ ეცდებით შვენება ვერავინ შეუდარითა.

რა მამაგონდის იგი მზე მდინდიან ცრემლი მწარენი,
მისგან მომინდა პასუხი, ტკბილნი არ საწყინარენი,
უსულოდ ვიყავ იგი დღე რაც ხანი წავიარენი,
და მან მამალხინა ვისი მძლევს, მე სუფთა არე მარენი.

თეთრსა ბროლისა ფიქალსა ინდოთა რაზმი უშენდა,
მელნის ტბისაგან ლასვართა მჭვრეთელთა ისრად უშენდა,
ქება ვერა თქვეს მეტყველთა ენა რაზომცა უშენდა,
და გულო, სიტყვასა ამოკლებ, უწყი გამრავლდეს უშენდა.

მზემ მთვარემ და მარსკვლავებმა ქება წართვეს სამარისა,
მათ პირველთა ქება თქმულთა ძმა დაიდეს სამარისა,
ნუმც გავხდები უიმედო, ღონევ, შენი ამარისა,
და გეაჯები, მიჩვენო, ვიწრო კარი სამარისა.

მისთვის ვკვდები, რომ ყოველგან სიკეთის ხმა მასუდრისა,
ნუ თუ მასვას უკვდავების წყარო სადმე მასუდრისა,
მისგან მოდის სურნელება, მუშკ-ანბრისა მასუდრისა,
და შეურა მიღირს ყოველს ქვეყნად, მას უცხოსა მასუდრისა.

მისგან მეტი ბრწყინვალება, ყველა წარვსთქვი რაცა ჰსჭირდა,
მან შუქითა დაბნელა, უნათლობა მწვე მისჭირდა,
სხვა მთვარისა ნავანისა მას სინათლე არ დასჭირდა,
და შეცაემკო ბროლის ბალი, თეთრი ელვა გამოსჭვრიდა.

ყოვლის საქმის მოწევნამდის, კაცო, თავი განიცადე,
მოიწიოს, ნუ ისწრაფი, სჯობს თუ ცოტა განიცადე,
მაგრამ დრომან სატანჯველში სულ შეგვასწრა განიცადე,
და აწ გასჭვრიტე სოფლის საქმე და სიკვდილი განიცადე.

ესარის ქალ ყმათ ორნარი მათგან თავისა ქებანი,
თქვენცა ჰსთქვით, რომ სოფელი სჯობს, თუ ანუ ღვთის თვისებანი,

უსაქმოს მოწყენილისა მეტება ცუდ ლაყბობანი,
და სევდასა შეჭირვებასა სულ დაუფანტავს ცნობანი.

თავი და ბოლო იგ არის ღმერთი ვადიდოთ ცხოველი,
ვინ არის ბრძენი ჭკვიანი მისი მძებნელი მპოველი,
ვერსით მოურჩეთ ჯოჯოხეთს იგ მისი შეუპოველი.
და მისითა მოწყალებითა მეცე სინათლესა მოველი.

ქრისტე გვიბძანებს, ოთხს თავში, პირითა უტყუველითა,
სოფელი შენთვის შევამკევ, ტყითა, წყალით და ველითა,
ამით ვიშოვეთ სამოთხე, არა თუ სამოსელითა,
და ეს წავა ის ხომ არ გვინდა, მითხარით რა მოველითა?

თვით გვიბძანებს და ყოველნი, მისთა წმიდათა კრებული,
წინა გვიცს წერილთ სიმრავლე. წიგნები გამოკრებული,
უკვდავებასა გვაძლევენ ჩვენ ვიყვნეთ იმედებულნი.
და რად გვსურის სატანჯველთათვის რად გვინდა ცეცხლი გზებული.

თუ სამღთო რამე მესიბძნა შიგ არავინ ჩაიხედავდა,
რაეს ლაყაფი შევკრიბე ყველა ნახვასა ბედავდა,
არა ესე სჯობს არა ეს ყველა სიცილით უბედამდა,
და ეგები სხვაცრამ გასმინო, მე ესე მეიმედავდა.

ეს უსარგებლო გათავდა, აწ სხვა დავსწეროთ ბოლოსა,
სულ ნუ მივყვებით სოფელსა, ცეცხლი არ მოგვებოლოსა,
სატანას არ ჩაუცვივდენ დაგვამხოს დაგვაბოლოსა,
და თუ ჩემიც რამე ისმინოთ, სულსა არ დაებრკოლოსა.

თვით ღმერთი ბძანებს, რომელი ამტკიცებს ოთხსავ ყურებსა,
თვალს არ უნახავს მისებრი არცა შესვლია გულებსა,
ჩანს სიკვდილისა სასმილით არვის უშვებენ ულებსა,
და ხორცნი აქ მიწად გარდიქცეს ზეცას წაგვისხმენ სულებსა.

რად სოფელო სხვა არ დასწვი ჩემებრ მე მქმენ დასადაგე,
გლახ ლახვარი სასიკვდინე ყველა მე მკარ დასადაგე.

დამიკარგე მე, ასული იგარ ვიცი დასადაგე,
და სხვა ნაყოფი მათებრ ტურფა არ აშენდეს დახადაგე.

მე წამართვი სიცოცხლენი და ასული თვალთა ჩენა,
რად გინდოდი სასიცოცხლოთ არ მაღირსე არ დარჩენა,
არ გმართებდა ეგზომ მეტად მტერობისა გამოჩენა,
თავიდამე სულ ბოლომდის ჩემთვის ასრე დამეჩენა.

სულ დაგლიჯნე ვარდნი ჩემნი იგარ ვიცი მოაწვივე,
ვინცა შექმნა მან შენ გიყოს რაცა ჩემზე მოაწვიე,
მოვკვდე მიწაც აღარ მინდა ჩემზედ მხეცი მოაწვიე,
და მაშინ ეგრეც შემიბრალე იტირე და მოაწვიე.

მე ვხედავდი ლხინთა ჩემთა სრულად ჭირთა გარდაცვლითა,
იგ ერთობით სპათა ჩემთა მტერთა ჩემთა ჩანაცვივთა,
მივემგზავსე მე მხარ ბოლო დანაცვივთა,
და მედებოდა ცეცხლი ცხელი დავდნებოდი მსგავსად ცვილთა.

ბედი ანუ სვე დოვლათი იგ ბოლო ჟამს მომეშალა,
ვთქვი გავშიშვლდე სოფლისაგან ტანსაცმელად მომეშალა,
ყველა აქა ვერ დავსწერე, რომლის საქმით დამეშალა,
და წამლად ვიწყე მარტო სევდით არამც ჭკვა ამეშალა.

ვის სიცოცხლე მწარე ჰქონდეს სიკვდილი თქვა შოთამ ტკბილად,
რომ ხმელეთსა ანათებდეს ბოლოს იქმნას იგიც ჩრდილად,
ნაცვლად ბროლთა მარგალიტთა მოგვეცემის ქარვა ბილად,
და გრაკის ხესა დავემსგავსნეთ პირველ ნორჩნი აღვა ზრდილად.

კაი თუ მიწყინოთ ყველამა სოფლისა სიყვარულითა,
იგ სოფლიონი ბრძენი და ან ვინც უბნობდეს სულითა,
ყველა სწუნობდეს სოფელსა არ გასაძრახად სულისა,
და არ ვიტყვი სრულად გაუშვით ნუ გიყვარსთ სულწასულითა.

სიცრუე ანუ საცქაოვე სხვაცა ვსთქვი ერთი მისიდა,
მუხთლობა არის თავიდგან სულ იმის დასწაყისიდა,

ზეცას გასულსაც ქვე დასცემს რომე ძმა იყოს მისიდა,
და ანაზდად მოულოდნელად ბნელად ქმნას შენი დღისიდა.

შოთამ ჰსთქვა სწორეთ მიდგომა მზისაგან ვარდთა-ნეხვისა,
მისგან ბოლომდის გატანა თქვას ვინმეცა დაიკვეხისა,
ხმელთა მვლობელსაც არ ასცდეს ბოლოს დაცემა მეხისა,
და მას დაუდუმდეს ბაგენი ვეღარ ვის შეუჭხისსა.

ტასტი იმას ვით ღირსიყოს, რომ ჯდეს ვინმე ალვა ზრდილი,
იგ-ანაზდად გარდმოაგდოს აღარ იყოს მისი ჩრდილი,
მისად ნაცვლად დაჯდეს ვინმე უშვერი და სულ უნდილი,
და მიწამანცა დაიწუნოს ზედ საჯდომად აღმოზრდილი.

ამოდნად როგორ გვიყვარდეს ჩვენი ამ გვარად მტერები,
ბოლოდ გაგვდებს ყველასა რაზომცა ზედ ეკერები,
მარტო რას გარგებს ხორცი და თუ სულსაც არ ეტერები,
და იგი დაადგრეს უკვდავად ჩვენ ვიქმნეთ მიწა მტვერები.

ან ადრე დაგვსოცს უდროოდ ასალსა მოუწევარსა,
გვარდსა გაგვიჭკნობს უფრჭკვნელსა შეგვიქს ბედისა მწევარსა,
ვერ მოურჩებით მართ ვითა კურდღელი მალსა მწევარსა,
და ვხედავთ და არ გავტეხილვართ იგ მისგან მოსაწევარსა.

თუ გრძლად გვაცოცხლებს ჩვენ გვიზამს საქმესა უარესებსა,
რაც გვიყვარს ჩვენს წინ დაგვისოცოს სულთაგან უკეთესებსა,
ცეცხლსა მოგვიდებს უშრეტსა ჩვენთვის ჩამოჰკრავს კვესებსა,
და ჩვენ დაგვიმკვიდრებს ჭირსა და სულთქმა ვაება კვნესებსა.

ამას გვიზამს და სხვაცა ჰსთქვა მისგან ჩვენზედა თქმულება,
ესრეთ მოგვშლის და წაგვასხდეს არ გვინდეს სულთა დგმულება,
იგი უსწორო, უებრო უშვერ ვყო კეთილ თქმულება,
და იგ მისგან ერთიც არ მორჩეს გული უწყლულო ულება.

ან სიკვდილს მოგვცემს ანდაზად ან სიბერესა ძნელებსა,
პირსა მთვარულებ გავსილსა ალმურსა დასდებს ბნელებსა,

აგრე უებრო მნათობსა ვერ ექოს ბრძენთა ენებსა,
❦ ყოველთა სატრფიალოსა იგ შეიქს მოსაწყენებსა.

თვალთა დააკლებს ნათელთა სოფლისა მაშვენებელსა,
წარბსა მშვილდურებ მოხრილსა მიჯნურთა მახელებელსა,
შავთა წამწამთა ნარგიზთა გულზედან ლახვრის მხებელსა,
❦ გააურკვინებს წაასხდენს გულზედან ცეცხლის მდებელხა.

პირსა დაუჭკნობს მნათობსა უთეთრეს ზამბახისასა,
ღაწვისა ფეროვნებასა ვარდულებ გაშლილისასა,
წაჴხრის და მოსდრეკს ლერწამსა ტან სარო ალვის ხისასა,
❦ დაუდუხჭირებს ჯავარსა სამდომსა უსულისასა.

ბაგეთა მოშლის ეგეთსა უკვდავებასა ღიმობდეს,
კბილსა წაასხდენს მისთანა ვერც მარგალიტი ღირობდეს,
თმას მუშკის ფერთა კოჭამდი რომ გიშრის ტევრად ხშირობდეს,
❦ გაუსპეტაკებს თოვლურებ იგ ვეღარ ამბრად ძვირობდეს.

ეს არის საუკეთესო იგ ჩვენგან მოსალოდები,
აწ ამას შიგან ვით იქმნას გული არ დასაკოდები,
ერთი დღე კიცნათ იგ უნდა მრავლ დღე კიყვნეთ მგოდები,
❦ ბოლოჟამს ისევ სიკვდილი გულზე მიწა და ლოდები.

ჩვენთვის დაბადა სოფელი მან ყოვლთა არსთა მბადემან,
ვერ შეგვიმწყვდიოს უხსნელად სრულად ცოდვისა ბადემან,
ესეც ჩვენ მოგვცა სიმართლედ მუნცა კეთილთა მზადემან,
❦ სულ ვერ გვიშოვნეს წარწყმენდად ბოროტთა მოსაწადემან.

ამას არ ვიტყვი არ გვინდეს სოფლისა ნივთიერები,
ესრედ ვისმაროთ კეთილად ბოლოს არ გასამწარები,
არა გვიდგს სული მოკვდავი პირუტყვებრ გასაქარვები,
❦ როდეს ეს ხელთა გაგვარდეს მუნ არ დაგვეხშას კარები.

# ვარდ-ბულბულიანი

ჰე არსისა შემოქმედო, შენგან არის ყოვლი ფერი,
ცა, ქვეყანა, ზღვა და ხმელი, დარი მზისა მონაფერი;
ვერ-ვის ძალ-უძს ხორციელსა ქება შენი შესაფერი,
შენმცა მრისხავ, მოწყალეო, თუ ტყუილად მოგეფერი.

ვიწყო რამე სიტყვა მცირე, ბრძენმან ვინმე ყურად-იღოს,
გულისაგან საუნჯისა ვის რა ედვას, გამოიღოს,
მართებს კაცმან კარგი ნახოს, მანცა მისგან გარდმოიღოს,
უგბილმან და უგუნურმან ვერა რამე წამოიღოს.

ჰსცანით სიტყვისა ტრფიალნო ძალი სიტყვათა თქმულისა,
უცებთა არად სანდომი, ცნობილთა წამლად გულისა;
მე გამიმწარდა საწუთრო, აბეზარ ვიქმენ სულისა,
სოფლისა ავად ბრუნვამან მე ერთობ გამაგულისა.

ფილოსოფოსთ ელინთ სიბრძნე შვიდი არსო განლექსული,
ერთი არის ~~რიტორებს~~ სიტყვათ შეთხზვნა განლექსული,
ნაძლევი ვარ, თუ ვინმე თქვას ჩემებრ რამე განლექსული,
უკადავი ხართ, ცნობა გმართებთ, პირუტყვად გაქვს განლექსული.

ვარდისა და ბულბულისა ვის გაბჭობა არა სმოდეს,
მას იამოს ეს ანბავი, თუ ვისთვისმე ხელი რბოდეს,
ვის მახვილი გულად ედვას, ცრემლთა ნაცვლად სისხლი სწთოდეს,
იგ უცილოდ წადიერად ყურსა სმენად მიუპყრობდეს,

გააუბნა ერთმანეთსა მოლა-აჯამ ბრძენთა ბრძენმან,
ბულბულს ვარდი, ვარდს ბულბული, — სიტყვა ტკბილი ენა გრძელმან,

სალხინოდ და სალაღობოდ, სხვა არასმე შესაძენმან,
და მიჯნურთათვის გულსა ლახვრად, ჭირსა ჭირზე დასაძენმან.

შევიწიო ძალი ღვთისა, მე დავიწყო თარგმანობა:
გაზაფხულზედ დაიწყების აწინდელი სიტყვის თხრობა;
მზე კირჩხიბზედ გარდაჯდების, შეიქმნების ქვეყანათ თბობა,
მფრინველთაგან გამოსდების ჭიკჭიკი და ამო ხმობა.

ზღვა დასწყნარდა ღელვისაგან, შეიცვალა ქარ-კეთილად,
ვითა გული გამწყრალისა დამშვიდდა და იქმნა ლბილად,
მკინვარება, ზამთრის ყინვა დადნა, გალხვა, ვითა ცვილად,
და ხეთა იწყეს შემოსადვე პირველისა დანაწყვილად.

ჰაერიცა შეიცვალა, ჟამ-კეთილმან მობერა,
მანვე მიწა გაასხლა, ვინცა პირველ მობერა,
მაქებარად ხელოვნისად გამოჩნდების მობერა,
და გამისინჯეთ ლექს ქართული, ერთმანერთსა მოვაბე რა.

წელიწადის მოქცევამან მიწის პირი განაახლა,
იგ ოსტატი ხელოვანი პირველ იყო, განა ახლა;
ქარი, მიწა, ცეცხლი, წყალი ერთმანერთსა თან აახლა,
და ცა ყინვაზედ, ყინვა წყალზედ ადრიდგანვე დაასახლა.

გაზაფხულის წვიმამ ხშირმან ჟანგიანი მიწა რეცხოს;
ხენი ხილთა გამომღებლად მიდგომილი დაიკვერცხოს,
ამაუბნა ჭიკჭიკითა, ღამის მეცა გამამერცხლოს,
და მელექსემან ჰსამს თუ სიტყვა ასალისოს, წმინდად გერცხლოს.

ვითა ტურფა ახალ-რძალი საწუთროსა დანაზრობდა,
წყლისა პირა ალვა ნორჩი ტურფად რასმე ტანად ზრობდა,
ყვავილნი და მწვანე მოლნი თავსა მიწით დანაზრობდა,
და მზისა შუქთა მომლოდინე იგ არვისგან დანაზრობდა.

ჯერ ვადიდო, რაც ძალ მედვას, შემოქმედი მისგან ქმნილმან;
მაგრა რა ვჰქმნა, სოლომონცა—მცირე რამე უთხრა ძლივ მან,

აწ მივიქცე პირველსავე ამბავზედა სიტყვა მცირმან;
❦ საქებარად ძალსა მისსა აღმოსხეთქნა ნერგთა ძირმან.

დაუსწრო პირველ ყოველთა ყვავილთა მოსვლა იამან,
მოგვართვა სული სურნელი იგ საყნოსელმან იამან,
თავმოდრეკილმან სიმდაბლით არ თავი გაიზვია მან,
❦ ტკბილად შეხედნა თვალმან და გულიხა კარმან ღიამან.

სურნელი და პირად თეთრი გაიშალა იასამან!
ვთქვი ესე სჯობს ფერად სულად,—დამამდურვა იას ამან,
მას ვერა სჯობს ერთი რამე—ვერ უდარებს ია სამან,
❦ ვერ მიუველ მოსაკრეფლად, ვის დაუსვამს ია-სამან.

ზამბახმან პირი გაშალა, იგ თავის სულმან დასხარა,
აგვავსო სურნელებითა, ზედ ყოვლმან სულმან დასხარა,
ვთქვი, ჩემთანც მოდი სამყოფსა, ბასშიგან სულ მან დასხარა,
❦ ვფიცამ: ან ძმა ხარ ვარდისა, ან,—ჩემმან სულმან,—და ხარა!

რა მოვიდა დრო მოსვლისა, სუნბულიცა მოვა სითმე,
ნახა ვინმე პირად მზემა, თქვა: ვჯობვარო ნეტარ რითმე?
უსუნა და თქვა: ეგზომი მე სიტურფე ვით დაგითმე,
❦ შავი ხარ და სულ-ამბარი, ზილფათ მინდი, არ დაგითმე.

ნარგისი მოვა შვენებით, ყვითლითა შემოსვილაო,
არ ვიცი, ვის ჰგავს, სით მოვა, მისი გვარი დავსილაო,
მისითა სურნელებითა წალკოტი სულ ავსილაო,
❦ გამდიდრებულა ბაღი და მებაღე არ დავსილაო.

ყაყაჩო და არღავანა ერთმანერთსა ედარების:
სიტურფით და შვენებითა ფერად ვერვინ გვედარების,
სურნელებით გვაჭარბებენ, ჩვენი გული ამით ჭკნების,
❦ მივიდეთ და გავერივნეთ, მათში ნურვინ გამოსწყდების.

სოსანმან უთხრა რიანსა: ქუფრი გაქვს თალხი ფერები,
გიგავს რამ მგლოვიარესა, გული ჩანს დანაბერები,

შენ სული გიდის სურნელი, ტურფა რამ მონაბერები;
უსული გაქვს და შვენება, მათ თან მეც შევეფერები.

ვით გიამბო რიცხვი, ზომი მათ ყვავილთა გარეგანთა,
სურნელი და მრავალ ფერი, არ თუ მსგავსი ქალ-ნართა,
თქვეს, მოველით უკეთესსა, მოვა, საქმე წაგვემართა,
ჰფერობს ჩვენი კელმწიფობა, რად დაუოვნდა, არ მოხმართა?

თქვეს: რა გვექმნების უმისოდ ვარდისა მომლოდინეხა,
ჩვენ თავი დაგვიძს სამონოდ, მისთვის გლას ცრემლთა მდინესა,
მოვიდეს, ნახეს გაშლილი, თქვეს: ეგზომ ტურფა ვინ ესა?
თაყვანისცეს და შეიტკბეს, გაღიმდეს, გაიცინესა.

მათ შუა დასვეს კელმწიფედ, იგი მისებრივ შვენოდა!
ეგ ზომი მათი ხიტურფე მასთან არ გამოჩნდებოდა,
მეფე, გლახა და მდიდარი იშვებდენ, არ მოსწყენოდა;
იგ მისთვის ხელი ბულბული, თავს ევლებოდა, მღეროდა.

ბაღი, ბღჩა და წალკოტი შეამკო, დაამშვენა მან,
მან მონად შექმნა ყოველი, თეთრ-წითლად შუქთა მფენამან,
სრულ საყნოსელნი აავსო სურნელებისა დენამან,
ველარა ქნა რა სევდამან, შეჭირვებულმან წყენამან.

ყველამ მომართა სალხინოდ იგ ვისცა სცალდა, ვის არა,
ჰრცხვენიან ჭირის უფალსა თვარ შეჭირვებით ჰზის არა,
შელეწეს ზღუდე-კარები, ღობემან ველარ იხარა,
რაღა იციან ღამისა, ან მზისა ამოსვლისა რა.

ბულბულისა რაღა გითხრა მრავალგვარად ყეფა-მღერა,
მისმან ეგზომ ხელობამან, ყოვლი სული შეჰყერა,
იგ სულისა დაულებლად, ზასილი და ცრემლთა დენა,
ვარდმან ნახა, ითაკილა, შეუვიდა გულსა წყენა.

მან ერთ დღე იხმო მებაღე ხალვათად, თავის წინარა,
თქვა: «გკითხავ რასმე, მიანბე; თვარე გუო ცრემლთა მდინარე,

ბევრ-მრავალ გვარად მხმობელი, მითხარ, ეს ჩიტი ვინ არე?
კვდების, იწვის და იძახის, არვის უნახავს მძინარე.

«რა მე მოვსრულვარ, მას აქათ ბრუნავს ამ ჩემსა არესა;
დაიფრინავს სრულა ხე-და-ხე. იძახის, კვნესის მწარესა.
რა გამეღიროს, აქ ვნახამ ჩემზედა დაბრუნვარესა,
პირს არ შეიღებს, არ გავლის გარეთ ბაღისა კარესა.

«ბევრჯელ მინახამს უსულოდ ეკალთა ძირთა მდებარე,
გავბედავ უთხრა, დამარხეთ, რა ბაღში მოვა მებარე,
იტყვის ცოცხალ ვარ, რად მმარხავთ. გულსა ცეცხლი მწვავს მდებარე,
აწ მითხარ, მე და ეს ბაღი შენს ხელთ ვართ, შენ მოგებარე.»

მებაღე ჰკადრებს: «ტურფაო თვალად, ფერად და სულადო.
იხარებს ყოვლი ქვეყანა, ამოხვალ კარგ-უსულადო;
მე შენი სამსახური მაქვს ჩემად სიცოცხლედ სულადო,
მე გხედამ ამა საწყალსა, ჭკვისაგან გარდასულადო!

«მიბრძანე, მითხარ მართალი, თვარ ვიკადრებდი მე რადო?
შენთვის კვდების და იწვების პირის-პირ გიზის მზერადო;
თავსა გევლების ხელქმნილი, ზედ დაჭიკჭიკებს მღერადო.
აწ შენცა ჰკითხე, გიამბოს; უბრძანე: დამკვნეს მე რადო?

«რა წახვალ, დაიკარგების; რა მოხვალ, მოვა ესეცო,
გაკვდების თავგაწირული, ხედავ? ლახვარსა ეს ეცო!
უსახლკარო და ღარიბი, ცოტა რამ ტანსა ეს ეცო,
რას გერჩის, თვარემ შენ იცი, გაგვაგდებინო ესეცო.

«თუ რასმე მკითხავ, დაეხსენ: იყოს ამ შენსა არესა,
ამაოა ტკბილი მხმობელი, ნუ მოშლი ბაღის კარესა,
ბრალია აქ არ იძახდეს, კაცმან გააგდოს გარესა.»
არ დაიშალა, ბულბულსა სიტყვასა ეტყვის მწარესა.

აწ ბულბულსა სიტყვა უთხრა მქისე რამე, არ თუ ტკბილი:
«სადა მე და ან ვინ შენა, ხელი ხარ და ან შეშლილი,

ჭყეფა, იძახი, დღე და ღამე, გამიკრთების თვალთა ძილი,
საქმე ხელად აგიღია, ერთობ ძნელი, არ ადვილი.»

რა ბულბულს ესმა, იმა ვარდისა გაუბნებაო,
უზომოს სიხარულითა, ველარ ჭზის, ზე-ქვე სლტებაო,
«ჩემისა სიკვდილისაგან მითხარ თუ რა გერგებაო,
თუ გაგეყრები ცოცხალი, მე სული ამომხდებაო!

«რად ეგრე უცხოდ გამხადე; ბრძანებ, შენ ვინ და მე ვინა?!
ცეცხლსა უშრეტსა უწყალოდ სხვამან ვინ დამაწვევინა,
შენი შეიდი ბულბული, კარში რამ გაგაწვევინა,
ნეტარძი დამხსნა სურვილსა, ცოცხალს არ გამაწევინა.»

ვარდმან უბრძანა ბულბულსა: «უჭკვო ვინმე ხარ ხელადო,
იგ შენი ვინმე საფერი სჯობდა აგელო ხელადო,
უფრო სხვა გვარი უნდოდა ჩემთვის გაჭრილი ველადო,
კელმწიფეთ სატრფიალოსა რად გამხდი საკიცხველადო?

ბულბულმან უთხრა «პირ-მზეო, რად ეგრე მომიშორეო,
ეგრე მწარისა სიტყვითა, გულში ლახვარსა მორეო!
შენს ახლოს ყოფას არ ღირსვარ, ეკალში გამაგორეო,
აქ შენს წინ თავსა მოვიკლავ, თუ კიდევ მითხარ მორეო.»

ვარდმან თქვა: «შენი სიტყვები მე გულში მეცა დანადო!
მიჯნურნი უნდა საფერნი, ვინც ნახოს თვალად ტანადო,
მე ვარ ყვავილთა კელმწიფე, ვის ხედავ ჩემისთანადო,
დამეხსენ, თვარ გაცემინებ, სიგრძე მოგცეს განადო.

ბულბულმან უთხრა: «საკვდავად მე თავი გამიწირაო!
მე შენი შეკვეთილი ვარ, არ სხვა მიფრინველი ირაო,
მომკლავ, დამარჩენ—მე შენმან სიტურფემ გამაკვირაო,
შენს შესაფერად დაგმღერი, არ ავად რასმე ვყვირაო.»

ვარდმან უბრძანა: «ღვთის მადლსა დამეხსენ, გამეცალეო,
გვერდს მახლვან ტურფა ყვავილნი, ამისთვის მომეცალეო,

სტუმრად ვართ, ცოტა ხანი გვიძს, ეს ბაღი დაგვიცალეო,
სხვაგან ჰქმენ შენი ბუნაგი, ადგილი გარდიცვალეო.»

აწ გაახშირებს ბულბული ტირილსა, სულთქმა-უშებსა,
იგ სისხლის ფერად ნაღებსა გლახ ცრემლსა გარდმოუშვებსა;
ეტყვის: «სად მაგდებ საწყალსა, ტყვესა აწ შენგან უშვებსა,
მეც ვიცი შენი შვენება, კაცს ცოცხალს არ გაუშვებსა!

«არ გაგეყრები ცოცხალი, რომ წვრილად დამასხევინო,
შენს ეკალზედან ავეცმი, სხვა მტო არ ვიცი ხე ვინო,
ფერსთ ქვეშ მოგიკვდე, ჩემზედა საყელო გარდგასხევინო,
ჩემისა სიბრალულითა სიცოცხლე დაგაწყევინო.»

ვარდმან უბრძანა: «ბულბულო, ვერ გხედავ ჩემსა ფერსასა,
ვერ გაწყენ, მაგრა არ ღირს ხარ პირდაპირ ჩემსა მზერასა.
სხვაც არის ტურფა ყვავილი, ჩამომეკიდე მე რასა,
ნახე თუ ჩემისთანასა აღმოამორჩებს მზე რას?»

«მე თავის ქება მრცხვენოდა, აწ არ დამესხენ, ვიქებო,
მიწის ნაყოფსა ყოველსა სიტურფით გავაქიქებო,
თასს მოუსდები სავსესა, ჭიქასაც მე ვაჭიქებო,
მჭვრეტელნი გულსა ეტყვიან, ეს სჯობსო მასთან იქებო.

«მეფენი და კელმწიფენი ნატვრით თავსა გარდმიყრიან,
რა მე მნახვენ, გულისაგან შეჭირვებას გარდიყრიან;
დაიმონოს სულმან ჩემმან, ბაღით არსად გამიყრიან,
სხვა ტურფა რამ სანახავი ჩემგან კიდევ აიყრიან.

«ხელნი ხელქმნილსა მადრიან, მიჯნურნი სამიჯნუროსა,
ჩემზედ შეითხზვენ რიტორნი სიტყვასა მათებუროსა,
ვინ თავს დამირჭობს, არა მშურს გვირგვინი მათ ებუროსა,
ნახე სული და წამლობა თუ ვინმე გამამწუროსა.

«კეკლუცნი ღაწვთა მნათობნი შემირჭმენ, ზედა მიდებენ,
თუნდა რომ იყვნენ ჩემთანა, მითვისტომობენ, მიდებენ;

მაგრა ცუდის მნახავნი, უტუროვესობას მიდებენ,
ჰგავს, მაგრამ რასმე შენ ჰსჯობო, მე ამათ გულსა მიდებენ.

«აშიყ-მაშიყნი რაყამაც ერთმანერთს შეეყრებოდეს,
ხელთ უჭირავარ ორთავე, წოლად არ წაეყრებოდეს,
უჩემოდ არც ერთი ვარგა, რა დაწვნენ დაეყრებოდეს,
მათსა საწოლსა, საჯდომსა, ქვეშ სხვა ვინ წაეყრებოდეს.

«ქალნი ტუროვანი, კეკლუცნი, ჩემთვის წალკოტად გორებენ,
დამკრეფენ ბროლის თითითა, ეკალსა მომაშორებენ,
სურნელს ებესა ჩემითა ავსებენ ამოჰყორებენ,
ჩემს მიდამოსა ლხინობენ, თამაშობენ და გორებენ.

«არ ჩამომესხენ, მე თავი მგონი ვარ, მაქებინეო,
შენ არ იცი და მე ვიცი, სადაური ვარ ვინეო,
სად იყო ჩემი სამყოფი, პირველ სად მოვილხინეო,
მე ბრძანებითა ღვთისათა, სამოთხით მოვივლინეო!»

ბულბულმან უთხრა ტირილით, ცრემლით აავსო გობანი:
«დიახ გმართებს და გშვენიან ყოვლითურთ ქება მკობანი;
მაგრამ წესია კეკლუცთა მიჯნურზედ აშიყობანი,
ყმობაცა აღარ მაღირსე, არ თუმც ამხანაგობანი.

«აწ მიწაშიგან ჩამაგდე, დიაღ ცდად გაიწიეო,
მე გვარად ინდაური ვარ, შენთვის აქ მოვიწიეო,
შენისა სიყვარულითა, ხედავ, რომ დავიწვიეო,
ცემა მიქადე, გაგდება, გვერდსა არ დამიწვიეო.

«უცხო ვარ, უამხანაგო, არ ცუდი ვინმე ჩიტია,
იადონი და მერცხალი ვერა ჰსმობს, ჩემთან გვრიტია,
ფერად-ფერადი ჩემი ხმა, ვერც სასმენელმან იტია,
აწ მომკლა შენმან სურვილმან, საკვდავად შემომიტია.

«მსა ზარიფოთა ყვავილთა სათქმელად გამოსულია,
უწყალოდ შორს დაჭერითა მე ამომართვი სულია,

საჭვრეტლად აღარ მიმიშვი, არცა მკარ შენი სულის,
შენად საქებრად მსმობელი; ვერც მაშინ დამასულის.

«ბრძენთა და ფილოსოფოსთა, რიტორთა მოშაირეთა,
სპარსთა, ჰინდოთა, ქართველთა ცნობილთა არ თუ ვირეთა,
შენად მიჯნურად დამწერეს, ჩემთვის არ დამივირეთა,
თუ არ გიჯეროდი, რასთვის გვთქვეს, მათ ვინ დაუყოფს პირეთა.

«შენც იცი ჩემი ამბავი, არ ახალია, ძველია:
შენი ქება და დიდება ვიძახი, არ დამელია,
შემოგფრინავ და შემოგმზერ, გლახ გული გარდამელია,
ამდენი უსამართლობა გეკითხოს, მე მოველია.

«რა გნახეს, გიხმეს ყოველთა ყვავილთა უტურფესადო,
შენად უფერად მიჯნურად ნეტარ დამწერეს მე სადო,
ეგზომ მოთქმა და ზახილი, მგონი, მეყოფის კვნესადო,
დამწვი, გამხადე აბედად, შენ იქმენ ჩემთვის გესადო.»

ტირილით ხმობდა: მარგეთ რა, მოდით მიჯნურნო მორებით,
წყლული მინახეთ ულხენი, იგ რომ თქვენცა გჭირს სწორებით,
ჩემგან ისწავეთ ხელობა ახლო,—ნუ ერთობ შორებით;
ვერა მარგოთ რა,—დამმარხეთ, სათვლავად მიმეგორებით.

«ეს ვის ასმია სულდგმულსა, ხელს უთხრას: ნუ ხარ ხელიო,
ცეცხლსა მოგიდებ უშრეტსა, ნუ დაგეწვების მწველიო;
გატირებ სისხლის ცრემლითა, ლაწვნი ნუ გაქვსან ხმელიო,
წადი და სხვათა უჭვრიტე, ჩემთან ხარ ნუ მომსვლელიო!

«მე წამეკიდა ეს ჭირი, სხვათა მიჯნურთა მეტადო,
ვისთვის მოვკვდი და ვეწამე, აღარ მიმიშვა ჭვრეტადო,
მე ამას დავჯერებულვარ, პირსა გიჭვრეტდე რეტადო,
ისწრაფი ჩემსა სიკვდილსა ნაცვლად ცეცხლისა შრეტადო.»

თქვა ნეტარ მომკლა როდესაც მაჯა ვერ მივეთქდეს დამარა,
საკაცეზედა დამაკრა, ეს ბალი ასრე დამარა,

ეკალთა ძირსა დამმარხა, მე დამძრა აქიდამ არა,
ვერ მომეხმარნეს მოყვასნი, ძმამან არ მიძმო, დამ არა!

ვარდმან თქვა: «მესმა ბულბულო, შენის სიტყვისა მიგება,
მეწყალვი, ვნახე გლახ შენი ჩემთვის ლახვარზედ მიგება;
მაგრამ არ გმართებს შენ სხვათა მიჯნურთა თვალის მიგება,
შენსა ღირსსა საქმესა, წინა მისწრობა, მიგება.

«მე ერთი ტურფა, უებრო, ვარ ყოვლთა საქებარადო,
მთას ავჰყავდები მასუკან, როდეს მომკრეფენ ბარადო,
თეთრი ვარ ბროლის უთეთრე, ყირმიზი ლალის გვარადო,
საჭვრეტლად შვენიერი ვარ, სურნელი მუშკ-ამბარადო.»

მერმე ეს ჰკადრა: «აწ შენი სიკეთე გამაგონეო,
ამიხდა შესადარებლად, შენც თავი მომაწონეო,
შენი და ჩემი საქმენი გასინჯე, ასწონეო:
თუ ჩემს თავს არა ღირს იყო, დამეხსენ ჩემო ღონეო.

ბულბულმან სულთქნა საბრალოდ. ამოიკვნესა მწარენი,
ცრემლნი დასთხია თვალთაგან სისხლის ფერისა დარენი,
მისის სულთქმისა კვამლითა სრულ დაწვა იგი არენი.
ვითამც თქვა სიტყვა ამაყვი იგ არ თუ სამუდარენი.

უთხრა: «თუ თავი არ მომაქვს მე შენად საკადრისადო,
ერთიცა არ დამცდომია, მანდეთ ლახვარი მკრისადო,
ჰხამს საბრალული გაქონდეს შენთვის უწყალოდ მკვდრისადო,
ბრძანე თუ ფილასოფოსთა, თუ არ შენთვის მთქვეს, ვისადო?

«ვითა შენ სხვანი ყვავილნი, ვერ მედარების მე ჩიტი,
შენზედ ვილოცავ, არ ვიცი მაქა, მადინა მე ჩიტი,
შემოგფრინავ და შემოგმზერ პირ-და-პირ ჩამოგეჩიტი,
შენთვის ვიძახი, შენს მეტი, სხვა გზა არ ვიცი, მე ჩიტი.

«შენმან სურვილმან დამლია, თვალ ტანად დამანასაო,
თვარემ მფრინველსა ათასსა მე ვჯობვარ, არ თუ ასსაო,

დავისწყევლი ჩემს მშობელსა, მამასა, ამხანაგსაო,
შენ სიკვდილისა სასმელსა ვიცი შემასვამ თასსაო.

«ყვავილში შენ ხარ ლამაზი, ფრინველში მე ვარ, მგონია,
დაგვწერეს აშიყ-მაშიყად, მგონი თქვენც გაგიგონია,
ესეოდენი უცხო ხმა შენს ეშხზედ მომიგონია,
შენს გზაზედ მოვკვდე, წავეგო, იგ ეგრეც მომიგონია?

მკვრელნი, მთქმელნი და რიტორნი, მგოსანნი, მოშაირენი,
ვარდ-ბულბულს გაიძახიან, ყოველი სული იმთენი,
აწყა დამიწყე წუნობა, გამცრიცე, გამაყვითენი,
შენი ბრალია შემშალე: თეთრ-წითლად პირი მითენი!»

ვარდმან უბრძანა ბულბულსა: «შენს ლაყაფს ვინ აუსაო,
ხმა და უსული კარგი გაქვს, არა ხარ ხარამუსაო,
შენმან ეგზომმან ზახილმან მე ერთობ დამაყრუსაო,
თუ ერთხელ წავიკიდებით, ვინ ჩამოგვივა შუაო?

«მელექსეთაგან ნათქვამი სიტყვა მოიღე პირადო,
დაგწერეს ჩემად მიჯნურად, არ მიმაჩნიხარ ჩირადო,
რუსთველმანც მაქო, შენც იცი ეკლიანად და ძირადო,
შორს წადი, იყავ მიჯნური, აქ ჩემთან დაიწვი რადო?

«იგ ასლოს მყოფთა მიჯნურთა ზრახვა არ დააკლდებაო,
შენ ვერას ირგებ, შემრჩება მე ცუდი მოუყვივნებაო,
არ შეადგების სააოდ, იგი ვინ ვისთვის კვდებაო,
წადი და იყავ მშვიდობით, გეყოფა ცეცხლთა დებაო!»

ბულბულს რა ესმა, ცრემლთაგან დააყენებდა მორევსა:
«რად მეტყვი, სურთა წამლებო, სიტყვასა მოსაშორევსა?
სხვა გიყვარდესო, ეგ სიტყვა გულში ლახვარსა მორევსა,
შენსა ეშხსა და სურვილსა სხვისა ვისიმცა მორევსა!

«ეგზომს ხანს შენი ხელ-ქმნილი სხვაგან სად უნდა წარევდეს?
ხამს თუმცა სხვათა მიჯნური შენს სიტურფესა წარევდეს;

შენი მძებნელი გლახ შენთვის თავს უნდა გაიმწარევდეს,
შენისა მოკრეფისათვის ჴელსა ეკალში წარევდეს.»

ესე თქვა, დაბნდა უსულოდ ეკალში დანაცემობდა,
მას უბედურსა საწყალსა გულმკვდარს დანა სცემობდა.
ვარდს შეუბრალდა, რა ნახა, თვალთ ცრემლი გარდმოსცემობდა,
წყალსა ასხამდა გულმკვდარს, ძლივ ჭკუას მონაცემობდა.

უთხრა: «რად შემიქმ, ბულბულო, შენის სისხლისა მზღვეველად,
სხვანიც ყოფილან მიჯნურნი, არ ეგრე დასაწველად,
არ ჩამომესხენ, არ ვიყავ შენი მე აქა მწვეველად,
მოჭკვდები, ცოდვა მომსვდების, ვიცი, თუ გაგაგდო ველად.

«ნებას დამირთავს აწ იყავ ბაღისა ამ მიდამოსა,
მას ადიდებდი, ყვავილნი ვინ ესრეთ ტურფად დამოსა,
გაიცადიდი და სინჯევდი თეთრ-წითლად, ყვითელ-მწვანოსა,
შენიმც ბრალი აქვს, ვინც შენი გაგდება შეიწამოსა.»

ბულბულს რა ესმა, გაცოცხლდა, უძრავად აღარ ბნდებოდა,
სიკვდილისაგან დახსნასა, სიცოცხლეს იმედებოდა;
სისხლისა ცრემლი შეაშრა, ცეცხლი არ ისრევ სდებოდა,
ვარდსა დაუწყო ყველასი, მის შესაფერად მქებობდა.

თქვა: «შენ მან მოგცეს მუქაფი, ვინ ეგრე ტურფად გშენაო,
ვინ ლხინად ყოველთა სულდგმულთა შეგამკო, დაგაშვენაო:
სიკვდილს მომტაცე, სიცოცხლე მიბოძე მე აქ შენაო,
დამწყვიტე დენა ცრემლისა, სულთქმა, კვნესა და ქშენაო.

«შენით შვენის და იხარებს წალკოტი, ბაღჩა ბაღადო,
ღმერთმან დაგბადა ყვავილთა, თუ არ ჴელმწიფედ, რაღადო?
შენი გაყრა და შორს ყოფა აღარ დამასვი დაღადო,
მუსიკთა ყოველთა უტკბესად მე შენი ქება ვღაღადო!

«რომ არ გამწირე სიკვდილად აღარ გამაძე გარე მე,
შენს მიდამოსა მამყოფე, იგ არ გაჭრილი გარემე,

არ მომიშორე თუცაღა, ახლო არ მიმიკარე მე,
ფერი, სუნი და სიტურფე, ვერა რას შეგიდარე მე.

«დაგბრუნავ, თავსა, გავლები, მე შენა ყურმან სადაღა,
შენ შემოგწირე საკვდავად სული დამწვარი სადაღა,
შენთვის მკვდარი და ტყვე ქმნილი, ნეტარ წავიდე სადაღა,
შენთანა ჩემად პატრონად, ნეტარ ვიშოვნი სადაღა.

«რამდენს ხმას ვიცვლი, ეგზომსა შენს სიტურფესა ვსთვალაო,
შენთვის სულქმნასა, დაწვასა ვიძახი, არ დავმალაო,
გაშლილსა გნახავ, შევცდები, რა პირსა გაილალაო,
ხმა მაღლა შენსა მქებელსა გარეგან რასთვის მლალაო?

«გავცოცხლდები ერთ წელ მკვდარი, რა დრო მოვა შენი ფასლი;
თავს დაგიწყებ შემოვლასა, სულს ამოსვლას აღარ ვაცლი,
უსულსა და ტკბილსა ხმასა საქებარად შენზე დავცლი,
შენს ჭკრეტაზედ სამოთხეში ყოფასაცა მე არ გავსცვლი.

«დღე დამელევის მაშინვე, ოდეს დაიწყობ ლევასა,
გული ვით გასძლებს ქვად ქმნილი შენის გაყრისა ლევასა,
მაშინ დაიწყებ უძლებად ჩემის სისხლისა ლევასა,
მე დამიმკვიდრებ გულისა, სევდასა· იგ მილევსა.

«წავალ და დაივიწყები, შიგან ჩავჯდები ყანასა,
თუ ხელს მოჰკვიდებ უცილოდ, ზედ დავეხვევი დანასა;
ვეცადო არვინ მაღირსებს, შენთანა წამოტანასა,
არ მოვინდომებ უშენოდ იქიდამ ამოყვანასა.

«თვალით არას დავინახავ, შევიქმნები უტყვი, მუნჯი,
ვირ არ მოხვალ მე სოფლისა სიყვარულსა არ გიუნჯი,
მე ბულბულად ვერვინ მიცნობს, თათარი და ვერცა გურჯი,
სიკვდილისა მოხატრესა მიწა მინდა ერთი ბლუჯი.»

ვარდმან უბრძანა პასუხი ტკბილი და არ გამწყრალები:
«სიტყვა ისმარე მსმენელთა საბრალო, შესაწყალები:

მიჯნურად ერთობ კარგი ხარ, გულსა გჭირს დანაბრალები,
მთქმელი ხარ ერთობ უებრო, ხმა გაქვს არ დასამალები.

«ვითამც თქვეს ფილასოფოსთა, საქმე რამ შეგიდარესა,
ერის საქმეს ვერ ვემოწმები, იგ მათგან ნაუბარესა,
მხედავ, სადაც ვარ ვაშვენებ, იგ ყოველსა არე-მარესა,
ამას კი ვიტყვი, ვერ გხედავ, თვალფერად ჩემსა დარესა.»

სულბულმან მისი პასუხი ველარ თქვა, ენა დაება,
სიასლოვითა ქოვონა ცოტა რამ ჭირი და ვება,
ამა სიტყვაზედ გარდასწყდა მათი ბრძოლა და ვაება, . . . .
მეც მამეწყინა ტყუვილი ეს ცუდი გალაყბაება!

თქვას თუ ვინმე არ არისო, ცუდს საქმეზედ სიტყვის გარჯა,
ესეც გითხრას, რა დამაკლდა, ანუ რამცა დამეხარჯა?
რიტორი ვარ, მსურის სიბრძნე, თვარ მამადგა ვისგან ბარჯა,
რაც მასმოდა მათგან, მეც ვსთქვი, ლექსი ვერსად დამეხვანჯა.

ჰე ღმერთო, დაუწყებელო, უკვდავო, დაუბერაო,
არ არის არსად მომყვანო, უსულოთ სულის მბერაო,
ვინ უწყის მოსეს, ელიას მთაზედა უამბე რაო?
ცრემლნი პეტრესნი მომმადლენ, იუდად ნუ გამბერაო.

შენ მომიტევენ სიტყვანი, უქმნი არ ნაყოფიანი,
რომელმან ცითა უწვიმე და დარი მიეც მზიანი,
ცოდვასა ზედან სულგრძელობ, შერისხვა იცი გვიანი.
ვაჟმე ცუდისა ლაყბითა, თუ სული დავაზიანი!

# შამი—ფარავანიანი.

არც ერთი არისი მართალი, ზღაპარი ყოვლის ხსოვნები,
სარგებლად თქმული კაცთათვის, ეს ყოლე მოსაგონები;
შექცეს ყური მიუპყრას, სევდითა დანაღონები,
იგი რიცხობაც გამოჩნდეს, და სიბრძნე მოსაწონები.

ვინ ხართ გონების უფალი, თარგმნილი დარღმობილისა,
მოდით სიტყვის ტრფიალნო, სმენად სიტყვისა ტკბილისა;
სცანით ღარიბთა სიტყვათა, სალიზღად შეწყობილისა,
ვით ნაკადული ღრმაშია, სწორედ მიდენილ მილისა.

მოდით მკითხველნო, რომელთა ცრემლი გსდით ნაკადულები,
იგ მოყვრისათვის საკვდავათ, ვის შეგიწირავსთ სულები;
ვისცა გწვავსთ ცეცხლი უშრეტი, გაქვსთ გული დანაწყლულები,
ნახეთ ფარვანა დამწვარი, მკვდარი სულ ამოსულები.

მისგან ისწავლეთ ყოველთა, ხელობა მიჯნურობანი,
სიყვარულისა ცეცხლშიგან, იგ მისებრ გარდმოდნობანი,
იგ ვითა თავი გარდაუცს, თქვენც მიიყოლეთ ცნობანი,
თითი უკავეთ ყოველთა, ვინც ვერ ჰქმნათ მის ოდონობანი.

მას არგეთ რამე საწყალსა, დამწვარსა დავალებულსა,
მას ტკბილი ამხანაგობა, ჰსესხეთ დავალებულსა;
წყალი დაასხით მოსწრაფეთ, მას გულსა დავალებულსა,
ხელი დახურეთ თვალზედა, საკვდავათ დავალებულსა.

ცოცხალთ მიუსწრათ, ისმინეთ, იგ მისი ნაუბარები,
რას ეტყვის თვისსა დამწველსა, ჰსცანით სიტყვანი მწარები,
საყვარლისათვის შუქითა, ფრთები გარემომწვარები,
უცილოთ მოკვდეს დამარხეთ, თან მიატანეთ ზარები.

სანთელი ბრწყინავს, მიჯნურნი სხედან მის გარეშემოსა,
მას ადიდებენ ვინ აგრე ტურფათ და ნათლათ შემოსა,
ლალისა ფერსა ღვინოსა, სმენ გემრიელსა გემოსა,
ფარვანას ხედვენ მასთანა, ხელსა, შემცდარსა მდელოსა.

ფარვანა სანთელს ევლება, შექმნილა მისთვის სადაღად,
ჭკვა და მცნება წასვლია, მას დაუკარგავს სადაღად;
მის მეტი მისდა პატრონად, სხვა ვის უნდოდეს სადაღად,
მიჯნურსა მისის ბრალითა, გული დასწვია სადაღად.

მათ გაუარმდათ მეჯლიში, მისის საბრალოს მზერითა,
იგი იტყვის ჩემსა ხელმქნილსა, ჰხედავთო, სჯობსო მზე რითა,
სრულათ ერთობით ციერნი, იგი აჭკნობენ მზერითა,
თქვენც მოიგონეთ მას ზედა, ვინც ვისზედ შეიმზერითა.

მათ გაუახლდა სახმილი, ვინც ვინმე ვისთვის იწოდა,
სურვილმან მათთვის საკვდავათ, იგ მათთვის დანა იწოდა,
უხელეს სხვათა მიჯნურთა, ახლა ფარვანი იწოდა,
აწ მოსთქვამს მისთა ჭირთა და საკვდავათ გამაიწოდა.

ფარვანა ეტყვის: სანთელო, მნათობელო ღამისა,
შენისა სიყვარულითა, სული ამოსვლას ლამისა.
მეტმან ეშხმან და სურვილმან, მე გული შემიღამისა,
ნუმცა მექნების უშენოთ სიცოცხლე ერთის წამისა.

ამან შემშალა, ვერ ვხედავ ქვეყნათ შენსა დარესა,
ზოგი რამ მზესა მიგიგავს, იგ ზოგი რამე მთვარესა,
შენმან სხივმან და ციმციმან, ჭირსა დამაბა მწარესა,
თავსა გევლები ნუ მამკლამ, მე შენსა მემუდარესა.

კურთხეულმც—არის რომელმან ეგრე დაგბადა შენაო,
ბრწყინვალე კამკამებითა შეგამკო დაგამშვენაო,
მეყოფის მუდამ ლახვარი, უწყალოთ გულსა შენაო,
სულისა ამოსასვლელად, შემქმნია ბევრი ქშენაო.

სხვას ვერას ვხედავ საწყალი, იგ თუ არ შენსა შუქებსა,
პირი და ენა დაეყო, ყოველსა შენსა უქებასა,
სმა, ჭამა დავიწყებია, ნეტა რა გაასუქებსა,
ფრთასა მე მომწვავ ალითა, ვიცი რომ ჩამსვამ ბუქებსა.

რა შენ ბრწყინვალეთ აენთი, მე დასაწველად მზა ვარდა,
მე შენთვის დავბადებულვარ, სხვა არა ვიცი რა ვარდა,
ჩემის სიცოცხლის მორჩენა, საუთვოს იქით ჩავარდა,
შენ ხელქმნილი და მე ხელი, ეს ყოველ ქვეყანას გავარდა.

ბრძანება ღ̃თისა ეს არის, ამ ნიჭზედ დავიბადეო,
შენი ტყვე ვიყავ საწყალი, შენი მეხვიოს ბადეო,
არც წყალი მასხი დამწვარსა, არცა წამალი მადეო,
მოინდომე, და მომკვდარვარ, შენ ასე მოიწადეო.

სანთელმან გასცა პასუხი, ძლივლა აღირსა გვიანად,
მე შენი რაც გავიგონე, არც ერთი მესმა ჭკვიანად,
ღვთისაგან დაბადებული, მე რო ვნათობდე მზიანად,
რა გრჯის და რისთვის მოკვდები, დაიწვი დანაცრიანად.

ფარვანას ესმა პასუხი, მის მზისა და დამწველისა,
იგ შორსა გასაშორავი, არც თუ შეწყობა ზავისა,
თქვა, თუ გავსძლებდე უშენოთ, ვის რა შურს ვის რა გავისა,
არცა ვარ ცნობის უფალი, არც ხელთ მქონელი თავისა,

გული, ცნობა და გონება, წამართვი ჩემო მზეოდა,
შენ გაქვს საკუთართ ჩემთანა, არც ბეწვი მოიძეოდა,
ჩემი სისხლი და სიკვდილი, სულ შენა დაგეზღვეოდა,
როგორიცა ხარ, მე შენი ქება აწ დავიწყეოდა.

მზისაგან უბრწყინვალია, ეგ შენი კამკამებანი,
ქვეშედ თეთრი და ზედ წითლად ალი სიმცხინვარებანი,
ვინცა თქვას შენი შუქიდა, ანუ შვენების ქებანი,
გულსა და თვალსა ახარებს, შენივე წინა ნთებანი.

ოქროზე ვინმე აგანთებს, ჩამოსხმული ხარ ტანადო,
დასჩაგრე ბრწყინვალებითა, ვინ შვენის შენისთანადო,
ვერცხლისა უთეთრესი ხარ, შენთან არ გასაბანადო,
ის სახლი სახლათ არ ვარგა, უშენოთ ბანი ბანადო.

მთვარე რაზომცა მნათობდეს, გავსილი ბნელსა ღამესა,
მისი შუქითა უშენოდ, ვახშამი ვერ ვინ ჴსჭამესა,
უშენოდ ლხინი, მეჯლისი, ვერა ვინ შეიგემესა,
ეგზომმა უებრობამან, გლახ შენმა შეიწამესა.

აწ რავქნა ხელმან საწყალმან, სიკვდილი მომეწყურაო,
თვალთაგან ცრემლად სისხლი მდის, ერთს წამს არ მომეწყურაო,
შენ შეწყალება არა გაქვს, არ ვიცი რავქმნა თუ რაო,
ერთ ლუკმად არ ვის ვეყოფი, მგელი შემჭამს თუ ტურაო.

რასთვის ჰასუხს არ მიბძანებ, თვალთა საჩენო სულადა,
ვიდრემდის სრულად არ მამკლავ, ნუ ეჭობ დამასულადა,
თავიდგან ჩემო დამწველო, აწ ჩემი აღსასრულადა,
რა გწადს, რას ყოვნი, რასა მჯი, შენ სულო ამოსულადა.

სამთელმან უთხრა ჰასუხი ბრძენი არ ცუდი ყბედობით,
მე ღმერთმან შემქნა სამადლოდ, შენ საით მომხვდი ბედობით,
ხატთან და ჯვართან წინა ვარ, სულისა საიმედობით,
შენ რომ შემცდრობით დაიწვა, სისხლი რად ჩემსა ქედობით.

ფარვანას ესმა ატირდა, მეტის მეტითა წყენითა,
ღონე მოუშო საწყალსა, მხარი დაუშვა ფრენიითა,
კვლავცა დაუწყო ქებადა; ხვეწნა ცრემლისა დენითა,
ჭირსა ჴსჭამს, თავსა ევლება, მას გარეშემო ფრენითა.

ნუ მკლავ უბრალოთ, ნუ გინდა ჩემი ცოდვა და ბრალები,
სხვას შენთვის მკვდარი ვის უნდა, თუ შენ არ შეგებრალები,
შენის სიტურფით, ვერ არის ვერც ბროლი, და ვერც ლალები,
აღგავსებ ჩემის ცოდვითა, სიკვდილსა არ ვეკრძალები.

სხვა არ ვინ ვარგა უშენოთ, მე როგორ ვიყო ხელიდა,
ლხინი, ჭირი და სმა ჭამა, უშენოთ ყველა ბნელიდა,
ერთა ჭამა და ქორწინი, მასპინძელ საწვეველიდა,
და ტურფავ კეკლუცთა ყრილობა მიჯნურთა სულ დამაწველიდა.

ჭამასა გახდი ბრწყინვალედ, სამოთხედ ელვარებითა,
ტურფავთა გამომჩენელი, შემმატე არ თუ კლებითა,
მისისა სახლსა საჯდომსა, აავსებ მათის ქებითა,
და გონჯის სიგონჯეს დაჰფარავ შენისა მოხმარებითა.

მტერიც ვერ გასძლებს უშენოთ, ხარ ყოველთ მოსახმარია,
მოყვარე ვარ და მიჯნური, ნუ ეჭვ რომ გაგეყარია.
ვეღარ მოვიწვდი ასეთი გულსა ლახვარი მკარია,
და სიკვდილისაგან აწ ჩემი სიცოცხლე უფრო მწარია.

სანთელმან უთხრა: დამეხსენ, ნეტარ შენ ვინ და მე ვინა,
სამადლოდ შემქმნა, რომელ არს საყდართ მჯდომი ზე ვინა,
ეკლესიათა მსახურად, სულ ღამე გამათევინა,
და მკვდარსა ამიტომ უნთივარ, მას ცოდო არ აზღვევინა.

სულ ჩემი საქმე სამღრთოა, მე ვინ და მიჯნურობანი,
მუდამ მით ვნათობ არა აქვს. მითვე ვარ სამაზრობანი,
ეგ შენგან არ შეკადრების, ეს არის მართლის თხრობანი.
და სიკვდილსა გიჯობს სიცოცხლე, არ გინდა შესუდრობანი.

ფარვანა იტყვის მტირალი, იქ საწყლად მოუბარადო.
სულ ბრწყინავ უამხანაგოდ, მისთვის ხარ საქებარადო,
მინდა რო თავს გევლებოდე, სრულად თესლად და გვარადო,
და ვიდრემდი დავიწვებოდე, გარე გირბინო ჩქარადო.

ვითა ბულბული ვარდისთვის, გაჭრილი გახელებული,
შენ ჰსჯობისარ ვარდს სინათლით, მეტი ხარ, არ თუ კლებული,
ბულბულს მე ვსჯობვარ მიჯნურად, გული უწყალოდ ღებული,
და შენთა სხივთა და შუქთაგან, დამწვარი დავალებული.

იგი იმღერის, იძახის, ჰყეფს რასმეს ხმასა ამოსა,
არც იწვის, არცა მოკვდების, არცარა გაიმწაროსა;
პირსა გიყურებს მნათობსა, და ტანსა ალვა საროსა,
რა ვეგდო მკვდარი დამწვარი, შენც მნახავ უსუდაროსა.

ვინც აქო ვარდი, ბულბული, იმას ფარვანაც უქია,
ბულბულს ჰკლავს ვარდის შვენება, ფარვანას სამთლის შუქია,
ვარდს უმზეობა დააჭკნობს, სამთელს დაავსებს ბუქია,
სიბრალოს მათსა მიჯნურსა, ჭირი ჰსჭირს არ სუბუქია.

დრო მოიახლა ლხინისა, სიკვდილი მონაწყურია,
აღარცა მინდა სიცოცხლე, რადგანც შენც აგრე გსურია,
რათ არ გეწყალვი, ულმერთო, თურმე ხარ კარა ურია,
ეს აგრემც მიყავ დამმარხე, ცოტა რამ სამსახურია.

სანთელმან უთხრა საწყალო, რად გადასულხარ ჭკვისაგან,
ვით გიძლებს ჭირსა ეგზომსა, გული უმაგრე ქვისაგან,
მე სიბრალულსა ჩამომხსენ, შენ მომეცალე წვისაგან,
წადი და თავსა ეწიე, მუდამ ლახვრისა ჭრისაგან.

ღმერთსა გაფიცებ დამეხსენ, აწ სხვაგან შენ იარეო,
ცუდათ ნუ გინდა სიკვდილი, შენთვის ნუ ამატირეო,
შენისა სიბრალულითა, მე ლხინი დამიძვირეო,
ცეცხლი გწვავს ცეცხლი უშრეტი, ლახვრითა გაიგმირეო.

ფარვანას ესმა სიტყვები, მისისა დამწველისანი,
თქვა: ამას იქით ვერ გავძლებ, მედგას რომ გული ქვისანი,
დრო მომივიდა ბედკრულსა, ამ სოფლით გარდასვლისანი,
აწ ამას იქით მოვკვდები, ამას არ უნდა მისანი.

მხარი გაშალა, მომართა, სად სანთლის შუქი კრთებოდა,
სულ მისთა ჭირთა წაღებად, სადაღად თავს ევლებოდა,
თქვენც აგრე ჰქმენით მიჯნურნო, ვის ვისთვის სული გხდებოდა,
თავ გაწირული საკვდავად, ცეცხლ შიგან შეიწვებოდა.

მხარნი მოეცვნეს სრულებით, ქვე ჩამოვარდა დაეცა,
მისთვის საკვდავად ლახვარი, უნდოდა მგონივ დაეცა,
ცოტას ხანს მუცლით ილოდა, უნდოდა სული გაეცა,
გასწირა მისმან ხელქმნილმან, სხვას ვისა უნდა გაეცა.

მკვდარიც არ მოსხლტა სანთელსა, იგ ზედ ვერა აეხია,
იწამა მისთვის დაიწვა, მოკვდა ლახვარზედ ეხია
მისათ წაღებად საკაცე, არც უნაგირი კეხია,
არ ვინ დამარხა შესუდრა, არცა რა ზედ რა ეხია.

რა ჩამოვარდა სანთლითა, სასანთლეზედა მდებობდა,
მკვდარი, უსულო, დამწვარი, გაცივდა აღარ ინდებოდა,
მისის ცოდვიითა სანთელი, თვის დაღნობასა ნებობდა,
მიჯნურნი მისთვის მტირალნი, ყველა მუნ შემოკრბებოდა.

მუნით ჰსტირს ცხელის ცრემლითა, სანთელს ღვარი ზდის წვეთადო,
მისითა სიბრალულითა, გულსა ჰსჭირს დანა კვეთადო,
ნათელი სინანულისა, ჰსჯობს გულს არ მედგას სვეტადო,
ეს უსარგებლო ლაყავი მეყოვის მეტის მეტადო.

გათავდა ესე ანბავი, იგ კითხვა არაკობანი,
სიტყვისა შესხმა რიტორად, ენის სამკაულ მკობანი.
არც სისარული სულისა, არც არა ზატიკობანი,
უსაქმოს მოწყენილისა, ცუდი რამ ტიკტიკობანი.

ცუდათ წოლითა, გდებითა, ეს მომაგონა რაჭამან,
ორმოს ჩამაგდო სოფელმან, შიგ ჩამატანა რაჭამან,
ღარიბმან კაცმან იგ თუ რა, სთქვა საყვედური რაჭამან,
იგ ცრემლთა ჩემთა დენამან ზედ გადასეთქა რაჭამან.

ღმერთო, ნუ მიწყენ ამ ცუდსა ლაყაბას ცუდ მიდებასა,
ველარ გაუძელ შვიდ ზაფხულ მოწყენით ცუდათ გდებასა;
შეჭირვებასა ცეცხლსა და, გულ სახმილ დიადებასა,
მოველი ღვთისაგან დახსნასა, და მისგან იმედებსა.

# შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა.

ღმერთო, რომელსა გაქებენ ზეცისა ძალთა კრებულნი,
ქვე კაცნი სამოელისგან, სამოთხით გამოძებულნი:
მამა ხარ, სული ცხოველი, ძე თანა არსად ქებულნი,
სიტყვა უქმითა ჰასტიყათ, ცეცხლი არ მომხვდეს გზნებულნი.

ენა ლოცვას დამეშორა, სჯობდა ცუდ მიდ მოდებასა,
ყოველი კაცი ცრუ არსი, დავით სწერს ფსალმუნებასა,
წამდა სულო ღმერთი კადიდო, ეს დამხსნის ცეცხლთა დებასა,
ცოტას ხანს ყურსა აამებს, ზნე სჯირსო რიტორებასა.

ნუ მკითხავ ზღაპრათ შეთხზულსა, ამ უსარგებლო თქმულებსა,
განქარვებასა უნდოსა, იგ საღმრთოდ მოკიცხულებსა,
სულსა სხვა უჯობს და ხორცნი სხვას რასმე განიგულებსა,
სრულად სოივლისა მოყვასითა, ისივ მოატყუებს წულულებსა.

მქონდა რამე საღმრთო სიბრძნე, მე ღვთისაგან ბოძებული,
სწავლით სულთა ამაღლებად, სიტყვა შედგმად ბოძებული,
იგ მოსწრაფედ სმენად მისდა ვერ ვინ ვნახე მიგებული,
დალპეს ბევრი საღმრთო წიგნი, მიწით ვნახე მოღებული.

არ ვის უნდა სახარება, არცა წიგნი მოციქულთა,
არ გიკვირს რომ დაივიწყეს, შემოქმედი მისგან ქმნულთა,
განკითხვა და საუკუნოთ, არც სიკვდილი უმეს გულთა,
უნახავთა არას მიკვირს, ბერთა მიკვირს მონასხულთა.

ყველა სოფელს დაემონა, დიდი იყო გინდა მცირე,
სიზრმისაგან უფრო ცუდსა, ესე მეტად გავიკვირე,
ღრმა რამე ვსთქვი დამეკარგა, იგ ვერავის მოვასმინე,
აწ მეც მივყევ ლაყბობასა, ეგებ ამით მოვილხინე.

კაცმან უნდა კაცს უამბოს, სიტყვა მისგან გასაგონი,
პირველ სიტყვა გაუსინჯოს, მისდომა და ჭკუა გონი,
რუსთველმა სიქვა ნურვინ სთქვასო, სიტყვა ცუდი წასახდონი,
ეგების რომ აწ მეცა ვსთქვა, ცოტა რამე მოსაწონი.

მითხრას ვინმე: რად დაშვრე, ამ საქმეზედ ენა შენი?
სხვაც რამე ვსთქვი უმრავლესი ქვიშასაგან ენაშენი,
ამ სიტყვითა ზედ დამასვას გულს ლახვარი ენა შენი,
აწ ესეცა საკამათოდ, გულს ლახვარი ენაშენი.

წამლად რამე მოვიგონე, სევდის ფიქრთა მაქარვებლად,
თვარ ამაზე რამეცა ვიყავ მესიტყვათა რათმე მკრეფელად,
ამას წინათ მათ მიჯნურთა, სიტურფეთა ვიყავ მქებლადა,
იგ ვინ ვისთვის ხელ ქმნილი იყო, ან მოედო ცეცხლი მგზებლად.

მინახავ ამ საქმეზედა, ქეჩაბაზობა ცილობა,
ვერ შემოწმება სიტყვისა, ვერცა რას გაადვილობა,
არა ესა სჯობს, არა ეს შუღლი ყარყაში ყრილობა,
ორთავ რაც სწორდა ყველა ვსთქვი, თქვენ ჰქმენით შეტყობილობა.

მას დიდება, ვინცა სიბრძნით ოთხი ნივთი შეაზავა,
იგ სხვა და სხვა შეაერთა, არ წაჰკიდა შეაზავა,
ზღვა ხმელეთსა დაარიდა, მისგან ცალკე შეაზავა,
ზაფხულ ზამთრად გაარიგა, იგ მალ ერთ წამს შეაზავა.

აწ მითხარ თუ რომელი სჯობს, გაზაფხული, შემოდგომა?
მართალი ვსთქვა, არა გვმართებს, ერთმანეთზე შემოდგომა,
სიტყვანი ვსთქვათ, ვერ გავბედოთ ერთმანეთზედ შემოდგომა,
სიბრძნის ზღვასა შევცურვილვარ, წყალსა მართებს შემოდგომა.

გაზაფხული ამას იტყვის: სამოთხე ვარ ამ სოფლისა,
ვითამც ვიყო ამხანაგი შემოდგომის ანუ სთვლისა?
სიტურფესა და მშვენებას ჩემსას კაცი ვერ მოსთვლისა,
და სიკეკლუცე რადმცა ჰქონდეს, მასცა ჩემისა ნათლისა.

ჩემს დროში მიწა მდელონი, ზურმუხტათ გარდიქცევიან,
ხესილი ტურფათ გაშლილი, მაზედან მოიქცევიან,
ტურფა უებრო ქალ-ყრმანი, მასზედან შეექცევიან.
და გულსა სევდა და ნაღველი წარვლენ და წაექცევიან.

თვით მას ჟამსა მოისწრაფის ყოვლის სული ბაღჩა ბაღად,
მოეგონოს ხელს-ხელქმნილი, დააჩნდების გულსა დაღად,
ხელთ თასი აქვს მას წალკოტსა, შემოივლებს თავსა დაღად,
და იგ ლხინობენ მათ გუნებად, გაიღებენ თავსა ლაღად.

აჭიკჭიკდების ფრინველი, ყველა იქნების სმოსანი,
იგ ალხინებენ მსმენელთა, ვით იადონი მგოსანი,
ვით ქალნი ჯგვარობა შიგან, ხელნი ყვავილთა მოსანი.
და ფრინველნი ყველა მობუდობს, მხეცნი იქნების სმოსანი.

შემოდგომა ამას იტყვის: ერთობ თავსა მაქებარობ,
მართალია აყვავდები, კიდეც შვენი კიდეც დარობ,
ამხანაგათ არ მახსენებ, არცა ჩემთან მეგობარობ,
და სწორი გყავ და არ ისწორებ, იგ ამითა მიუმხდარობ.

რით ვერა ვარ შენისთანა, ეს მითხარი მჯობხარ რითა!
ყოველ კაცსა გავაგონოთ, ჩვენ ვიუბნოთ სამართლითა;
ჩემგან უკეთ რითა შვენი, ბარითა, თუ ანუ მთითა,
და მე არც ზნე მჭირს თითო-თითო, მართალი ვსთქვა ყველა თვლითა.

აგვისტო რა დაილევა, იგ ჩემი დრო მაშინ მოვა,
რა ხაზალმან ყვავილ ფერი, შეაყარა, მოიშოვა,
წითლად, ყვითლად, ნარინჯ-თურინჯ, მწვანე, თეთრი, დაიგროვა,
და შენ რას უბნობ, თვალმან გულმან შვება, ლხინი მაშინ ჰპოვა.

შენ დროში ტყეთა სხვა ფერი, იგ მწვანის მეტი რა აქო,
რა ათას ფერი აყვავდეს, იგ თუ არ აქო, რა აქო,
აბა სთქვი: სხვა რა უწოდო, თუ არ სამოთხე, არ აქო,
თვალნი ფოლადათ მიიკრას, ვითა მაღნიტმან მააქო.

აწ გაზაფხული პასუხობს: ვარდი თან ახლავს იარა,
მე უმაწვილი ვარ შენ ბერი, ამით გისწორებ მე არა,
შემოდგომაზედ გამწყრალმან, სალაპარაკოთ იარა,
ახალსა ძველსა წამსვლელმან, საქმე ვის გაუზიარა,

სხვა ვერა მოგიგონია, გითქვამს ფოთოლთა ქებანი,
ჩემი დრო ფასლი ჰაერი, სევდათა მაქარვებანი,
ველთა გავლილი თუ მინდორთ, ფშვის ჩემი სურნელებანი,
სულ ყვავილითა სავსეა, ქვეშ სახლია და ზე ბანი.

მაშინ განისმენ მეფენი, მინდვრათა ოთხსა კარავსა,
მუტრიბთა ჯარი მგოსანი, ლხინსა გამართვენ' არ ავსა,
ბედაურთ ცხენთა გააბმენ, მინდორთა დასაფარავსა,
გარდაიხდიან მეჯლისსა, ლხინსა არ გასამწარავსა.

ჩემს ჟამში გაირეცხების, ჟანგიანი მიწა, რკინა,
მომწვანდების ტურფად რამე, ზედან ია გაეფინა,
ყვავილებით აივსების სავსე თასი, ჭიქა მინა,
იგ ნაზამთარი ყოვლმა სულმა, ჩემ ჟამშინა მოილხინა.

შემოდგომამ უპასუხა: კარგ რასმე სიტყვა პრტყელობა,
სასარგებლო არა მჭირსრა, ყვავილი თუ ანუ მდელობ,
ჩემი საქმე დაგანახო, რამდონ რიგად ვასარგებლობ,
გაგიგონებს ყოვლი სული, ვიტყვი რასმე ანუ ვტელობ.

მითხარ, თუ შემოდგომასა, ბაღი რათ არ ბაღებულა,
ენკენისთვის სალხინოდა რათ კარი არ გაღებულა,
გიანბო მის დროს ყვავილი ვით ფერად ფერად ღებულა,
მათ უტურფესი მიწითგან სხვა არა გამოღებულა.

ნარგიზი მოვა მას ჟამსა, ყვითლად აშვენებს არებსა,
სხვასა ყვავილსა ვერ ვხედავ, მე მათსა მეჯუფთარესა,
თვითონ შვენნის და მოგვადენს, სუნნელებისა ქარებსა,
იქ თუ მას ჰკითხამ სიტურფეით, არვის არ შეიდარებსა.

ყარანფილისა ყვავილი, ვარდსაცა სჯობს და იასა,
მისი მშვენება უცხო რამ ერთი არა რის იასა,
ნახე ბაღს როგორ აშვენებს, რა კარსა შევლი ღიასა,
თავ პირი უგავს ლალსა და ტანს იცვავს ნარინჯიანსა.

ნეტარ ხაშხაშის ყვავილი, გენახოს ეგებ ვის არა,
რა დრო მომივა აყვავდეს, მოეწონების ვის არა,
რიანმა ვაშლი წითელი, ზღუდეთ გარ შემოიარა,
თუ მათთან ლხინი ვარგ იყოს, გულმსცა ეცემის ისარა.

ჩემს დროს ასხია ხეზედა, ნარინჯ-თურინჯებიაო,
ბროწეული და ყურძენი, არც ერთი დაჰკლებიაო,
ჰკრეფენ და სჭამენ სავსე აქვსთ კალთა და უბეებიო,
იმისი ფასი შენ რა გჭირს, გვითხარ და მიანბიაო.

ჩემთვის გებრძანა ბერობა, და ადრე წარმავალობა,
მინახამ მოდღევნებულსა ქალს დაუკარგო ქალობა,
მე რისთვის დავჯე მასთანა, თავსა დაუწყოს ბრალობა,
მე ქალივარ და ჩემს უფრო, უშვენის ლაწვთა ლალობა.

გაზაფხულმა სთქვა: გებრძანათ თქვენ სიტყვა ერთობ მკვახები,
სილამაზითა მე გჯობო, აბა ეგ არის ჩმახები:
გაყვითლებული ფოთოლი, ვის გევხარ, ვის ემგზავსები?
გოგრაცა შენს დროს იქნების, გაათლევინე მკვახები.

ვაგლახი შენსნა ყვავილსა და, შენსა სილამაზესა,
დასტურად კომში და ვაშლი, ღვინოში დაიმაზესა,
ჩვენ შუა განყოფილება, რამდენი არის რა მესა,
ეგ შენი შემოდარება, მე საყვედურად მაგესა.

ერთს რასმე დროსა მოსულსა, შენ სულსა ვერ უდარეა,
ვარდსა ყვავილსა მეფესა, რო მისდგომოდეს დარეა,
წალკოტს გაშლილი ჰყვავოდეს, სიკეთე მიუმხდარეა,
ჯ აწ მისთვის ხელმან ბულბულმან, თუ როგორ ცრემლი ღვარეა.

ჩემს დროში იქნას ვარდიდა, ზედან ბულბულთა ხელობა,
ერთს ათას ფერი ხელობა, მეორეს დანა მჭრელობა,
ერთისა უებრობა და მეორის სელქმნა, მდელობა,
ჯ იგ მაზედ ტკბილად მღერა და ხმა ათას ფერად მჭრელობა.

ბაღსა მირბოდნენ მიჯნურნი, ბულბულთა ნახონ მყეფარე,
ხლტებოდეს ხელვა დამწვარი, სრულათ ცეცხლითა მგზნებარე;
ლახვარი სჭრისო საკვდავად, ზედ ვინმე გადმოვეფარე,
ჯ მათ მოეგონოს მოყვარე თვითც იქმნას ცრემლთა მჩქეფარე.

თვალმან რა ნახოს უტროფე ან საყნოსელმან ყნოსანი,
ზედ დამღეროდეს ბულბული, იგ ათას ფერი ხმოსანი,
იგ მისგან უტკბო რამც იყოს, მუტრიბი ანუ მგოსანი,
ჯ ამათი მგზავსი მაჩვენე შენისა ჟამის დროსანი.

შემოდგომა ამას იტყვის: ეგ აგრეა არ თუ ჭორად,
იგი ნახე არვის უნდა, თვალნის მათთვის მოსაშორად,
ზედ ბულბული დამღეროდეს, ქვეშ ეყაროს ვარდი გორად,
ჯ აწ ჩემიც რა მოისმინე მეც რამე ვსთქვა მაგის სწორად.

ხეს რა კარგა გასცვივნოდეს, თესლსა ჰკრეფდეს იადონი,
რუსთველმაცა ერთობ აქო, მისი სტვენა მოსანდონი,
მთას გაჭრილი იძახოდეს, ხმა იცვალოს თუ რამდონი,
ჯ იგ არ არის ბულბულს უარ, არცა მისგან გასავრდონი.

არვიცი ვისთვის გაჭრილა, თვარ იგიც ხელად თქმულაო?
ბულბულისაგან ის უფრო, ამ სოფლით შორს წასულაო,
მთასა და ტყესა დაფრინავს, იგ მოსთქვამს კარგ უსულაო,
ჯ მის ხმისა სიტკბოს თუ ვითამც, იანგარიშებს სულაო.

ვერას ფერით ვერა მჯობხარ, ყოვლით ვარ შენი დარეო,
ჩემსა კარგსა და შენს ავსა, ერთმანეთ შიგან არეო,
ათასი რამე ილაყბე, მე ვერ გამაგდებ გარეო,
ეს კმარა სხვა რიგათ გიქო, აწ ჩემი არე მარეო.

რა ჟამეა მას დროსა, არც ცხოდეს არცა ციოდეს,
ყოვლის სიკეთით აივსნენ, დაძღნენ აღარვის შიოდეს,
შენ ბალი მოგაქვს და მარწყვი, ზედა ფრინველი ჟიოდეს,
მას სჭამდეს პური დააკლდესთ, ყველას მუცლები სტკიოდეს.

შენ დროში არ თუ ღარიბნი, მეფენიც ვერა ძღებიან,
ხისა, მიწისა ნაყოფნი, ჩემს დროში მოისთვლებიან,
სიცხე და ავი ცხელება, ჩემს დროში დამთელდებიან,
მაშინ სუქს ყოვლი პირუტყვი, შენგნით სიმშილით კვდებიან.

ახლობა სიმჭლე, სიმშილი, შენ ერთად შეგიყრიათ,
შემოდგომაზედ საჭმელი, ფეხთ სალახავად ჰყრიათ,
ყველა ღხინობს და თამაშობს, გულს არვის შემოჰყრიათ,
შენი მწვანე და ყვავილი, გაგრცვია გაგიყრიათ.

გაზაფსული გაგულისდა, საუბარი ესმა მკვახე,
როდის იყავ ჩემი სწორი, რა ილაყბე რა მოსჩმახე?
ქვეყანაზედ რაც რომ მოვა, შენსა თავზედ გამოსახე,
ყველა შენ რით დაიმოწმე, მით ლახვარი გულსა მახე.

გაზაფხულზედ დაარსდების, ყოვლი სარჩო მოსავალი,
ნაყოფს იღებს გამოსხმასა, აღმოსავალ დასავალი,
შენს დროში რომ მოიწიოს, რაგვარ შენგან დასავალი,
რას მიჰქარავ, რას მოჰქარავ, ხელი ხარ-თუ ანუ მთვრალი?

ქვეყანა რომლით გაძღების, ცხენის ზურგით თუ ნავითა,
დიდნი ქალაქნი შაარნი ტახტი მეფეთა სარვითა,
გაზაფსულ შეჰქმნან მგზავრობა, ხომალდმა ქარ ნიავითა,
შენ დროში უღირს იგი ხარ, ვერ მორჩნენნ დაუნთქავითა.

რას უბნობ ბეჩავ საწყალო, შენ ვისთან იწვდი ფეხსაო,
თავს იქებ მე კი მაძაგებ, შენ ღმერთი დაგცემს მეხსაო,
ვინც გაგიგონებს, დამცინებს ტყუილათ რისთვის კვეხსაო,
❦ რა თრთვილმან დება დაუწყოს, შენ ზურგს ის მოგატეხსაო.

ჩემს დროში ქარი, ნიავი, უკვდავებასა ედარა,
დაშიშვლდებიან გვარგოსო, ტყავს წამოისხმენ ზედ არა,
არ გაცხელდების ჴაერი, იგ ტკბილად რამე ზედარა,
❦ დასწვიმს და გარეცხს მწვანეთა, ხანდაისხანა ზედარა.

მაშინვე ცუდათ წაგისდენს, წახვალ და გავლი კარებსა,
რაგინდ რომ ბევრი ილაყბო, ჩემთან ვინ დაგადარებსა,
არვინ არ დაგიჯერებსა საქმესა მიუმხდარებსა,
❦ ბერთან ყმაწვილსა ვინ გასცვლის, ანუ ცოცხალზედ მკვდარებსა.

გამხმართა ხეთა ანედლებს, ასრე შეუცვლის ზნეთაო,
შენს ნიავს ერიდებიან გაგვასხმობს ვითა ხეთაო,
რა შენი ქარი ადგების, სულ დააშიშვლებს ტყეთაო,
❦ მერმე სიცივე მოგასწრობს, ფიცხლავ წაგართმევს დღეთაო.

სულ გაახლდების ქვეყანა, გაყმაწვილდების ბერები,
ყველა მწვანესა შეიმოსს, კუნძი დამპალი წელები,
შეუსუბუქდეს ყველასა, ზამთრის ტკივილი ძნელები,
❦ წყლის პირნი მოცინარობენ, ყვავილოვნებენ ველები.

შემოდგომამ სთქვა: ნათქვამი შენი მომესმა მრუდები,
არა გრცხვენიან შექმნილხარ სულ ტყუილისა გუდები,
მე ვარ და ჩემი ჴაერი, სიმართლით ნავთ საყუდები,
❦ გაზაფხულს სუსტობს ყველაი, ჯოხს უნდა მისაყუდები.

ეს ასე არის რომელმან დაგვბადა მისმან ძალებმან,
შენ სთქვი თუ ხორცსა რა ერგოს, არ მოისვენოს ძვალებმან,
სარჩოს სალხინოდ მე გჯობვარ, ეგ სხვამანც იცის თვალებმან,
❦ ჩემს უარესი რა ნახონ, მაშინ ყოველმან თვალებმან.

კვლავ ჩემი ქება გიანბო, იგ სხვაცა დანარჩომია,
რა ჰსთვლობა შეჰქნან ყოველგან, იგ ერთობ მოსანდომია,
ყოველი საქმე გაგონონ, ნადირობა და ომია,
დიდთაგან ანუ მცირეთა, იგ ლხინი თუ რა ზომია.

მაშინ შვესოდნენ ვენახნი, წითლოსან ნარინჯიანი,
მრავლით ეკიდნენ მტევანნი, თუმც არის მათი ზიანი,
ჰაერი შეზავებული, არ თუ სიცხითა მზიანი,
წითელ ღვინოსა ასხამდენ, ქვევრები გარეცხიანი.

მარნები გამდიდრდებოდეს, რქას ამზადებდნენ თასებსა,
ვის ვისთვის ლხინი ეწადოს, რა სჯობს არიბთა დასებსა;
იქ ამღერებდნენ მუტრიბთა, მგოსანთა ბევრ ათასებსა,
ნუ სტყუი, ვერას გიანბობ იგ შენ, ამბისა ფასებსა.

გაზაფხულმა ეგრე უთხრა: ცუდ იანბე ეგ ანბები,
შეგირცხვინოს ქარასხიდა, ეგ უგვარო საქებლები,
შენ იუბენ უთავბოლოდ, იყო რამე ნატრევლები,
მე გიამბო უმჯობესი, გული ერთობ დამილები.

გაზაფხულს გაიდარებენ, მინდვრად ზემო ბურთალები,
მას ეუბროთა მოყმეთა, ჭვრეტად, ვერ მოხსნან თვალები,
ბურთობენ კვირით კვირამდე, ცხენთ აღარ შერჩე ნალები,
იგ მათდა ჭვრეტად გავიდნენ, ტურფა კეკლუცი ქალები.

მუნ იყოს გამოჩინება, გარდანაქსოვთა კიდება,
მე დაგაჭარბებ მე გჯობო, ლაღობა არ წაკიდება,
ჯობნა ნაძლევთა წაგება, იგ სათავისო კიდება,
მე უკეთ მოვეწონეო, სჭირთ ვისგან ცეცხლთა ფონება.

ბედაურით კაცთა სედვიდენ, კარში არბევდენ ცხენებსა,
უკუ იურიდენ სევდასა, იგ კაეშნისა ხეებსა,
ყვავილსა ქვეშა დაზდიან, სალხინოთ განსასვენებსა,
ქარნი სძრევდენ და უურიდნენ, თასსა შიგან ჩასადებსა.

დაღამდეს დღენი სანთელთან, იქმოდნენ ჩირახჩოვნებასა,
დაივიწყებენ ჭირთა და, სევდათა დასაღონებსა;
მოიგონებდნენ ხელქმნილნი, მათსა სულსა და ღონებსა,
ესე სჯობს მღვრივეს მაჭარსა, იგ შენსა მოსაწონებსა.

შემოდგომამ ეგრე უთხრა: სიტყვა ერთობ შარა შარა,
სთვლობის დრო სჯობს გაზაფხულსა, მართალია იგ მაშ არა?
ყველა ვინმე გაგამტყუნებს, რა იუბენე, წარა მარა,
რა ყურძენმან ქარვის ფერმან წითლათ სისხლი გარდმოღვრა.

აწ ამასაც დამიწუნებ, კვლავ გიანბო უკეთესი,
ენკენისთვე გაშუალდეს, რა ინახვის უამესი,
დაიუნჯვის ყოველივე, დანერგული დანათესი,
ისარ მშვილდნი მოიმარჯვნენ მეთოფემან ტალი კვესი.

რა გახშირდეს მყვირალობა, გამრავლდეს ნადირობანი,
ყოველს მოეწყოს ქარქაში, ჯელგათა შეყრილობანი,
დღე, ღამე არვის გაახნდეს, დრო ანუ უჭროობანი,
მაშინ ნიშატთა სიმრავლე, არ იყოს ვარდთა ზრობანი.

კარში მიგვრიდენ მეფეთა, ქორბუდიანსა ხარებსა,
ვერ მოარჩნენ, ვერ გაასტანონ, იგ მაგრა განა კარებსა,
წითლათ ღებავდნენ ველსა და, იქით და აქეთ კარებსა,
შენი რომელი უდარებს მას დღესა გასახარებსა.

მოჭქონდეს იყოს დარება, ხარის რქებსა და თავებსა,
უკეთეს წინა იდებენ, გარეთ გაჭყრიდენ ავებსა,
უყურე წითლად სავსესა, ზედან თასისა დგომებსა,
მუნ მაშინ მათსა ნიშატს, მზობით ვინ გაათავებსა.

ერთი სხვა გითხრა მუნ ჟამად, იგ ერთობ მოსაწონები,
მოჭყვანდესთ ზარში ნაჯდომი იგ ბედაური ქორები,
სხვა და სხვა გვარი მდავალი, არ თუ ერთი და ორები,
ზდევენ დურაჯთა ხოხობთა, არა ჭსხნდეთ ახლო შორები.

ამ საქმესა და ამ დროსა, შენიც რამ შეუდარეო,
ტყუილსა ნურას აკეთებ, ნურცა ცუდ-მუდსა წარეო,
ნადირობდნენ და ფრინველობდნენ, ყველა ველს იყოს გარეო,
❦ უსიციოთ და უსიცხოთ, მაშინ მათ ჰქონდეთ დარეო.

გაზაფხულმა თქვა: ვისმინე, თქვენი სიტყვები თქმულები,
ჩემოდნობაზე ირჯები. მან დამიწყლულა გულები,
შენც უგვარო ხარ, და შენიც საქებრად გამოთქმულები,
❦ ბედაური და ტურფა ვარ, მე მხედვენ ყოვლი სულები.

რა დადგეს გიორგობის თვე, კარგად ის გეპასუხება,
რა თოვლმან წამოგაყაროს, მაშინ შეგექმნას წუხება,
პურადობასა იკვეხი, გაგვარდეს შენი უხვება,
❦ შენება ცუდათ წაგისდეს, თვალმან დაგიწყოს სუჭება.

შემოდგომამ თქვა: რაც რამ სთქვი, ვითომ ეგ იყოს ეს არა,
შენისა ცუდისა ლაყბობით, მე მივხვდი სიამეს არა,
თუ მე ზამთარი წამახდენს, ზაფხული შენდა შესარა,
❦ ჭრიჭინის დროსა რაღა ხარ, თავპირი ჩამოგესვარა.

ეს არის მათი ოხარი, მათგან თავისა ქებანი,
თქვენცა თქვით თუ რომელი სჯობს, აწ ნუ გაქვსთ მათი თნებანი,
უსაქმოს მოწყენილისა მტერობის ცუდ ლაყბობანი,
❦ სევდისა შეჭირვებასა არ დამეფანტა მცნებანი.

გათავდა მათი ცილობა, შუღილი ყარყაში დავება,
სიტყვა ცუდი თქვეს კანონად, ვაითუ სასჯელსა დავება,
სულისა უკერძო საქმეზედ, ეშმაკი დამედავება,
❦ ჩემი ბრალია, სხვის ვისი, ჭირი მომხვდეს თუ გავება.

## ეს ლექსი ბაღის სასახლეზე ყოფილა წაწერილი, სახლისა და თალარის ქება *)

ღმერთი არს თავი ყოველთა, იგ ვაქოთ განვადიდოთო,
სამნი ნათელნი ერთად ვჰსთქვათ მამა, ძე, სული წმიდითო,
მისის ცნობითა განვნათლდეთ, გონება გავიწმიდოთო,
განვაგდოთ უსჯულოება, ნუ ვემსგავსებით დიდოთო,

აქ არის აშტი გუნბაზი, ბაღჩა სდგას შუა გულსაო,
შიგ ათას ფერნი ყვავილნი, ვარდი გაშლილი გულსაო,
ცნობილთა კაცთა საჯდომლად ადრიდგან გამეგულსაო,
ჩემიც ცოდვა აქვს ავს კაცსა, კარი არ დაუგულსაო.

აქ არის ბაზმის სობათი, სუფრისა შემკობილობა,
დრო ახალ ნერგთა ყვავილთა ტურფა ვარდისა შლილობა,
ბულბულთა ბგერა, ყივილი, ხმა მჭევრად შეწყობილობა,
მუტრიბთა რასტი, მუღამი, სასმენელთათვის ტკბილობა,

თვითან შვენის და აშვენებს წალკოტსა ბაღჩა, ბაღასა,
თუ ლხინი გინდათ თქვენც ნახავთ, სხვას უკეთესსა რაღასა!?
გიაჯ ჩემს უკან ვინც დარჩეთ, პატრონსა, ყმასა, აღასა,
ვინც უპატიოდ მიეპყრას, ცოლიმც მისი ჰგავს ბაღასა.

სახლი შევმზადე სალხინოდ. მე მეფემ თეიმურაზო,
შევამკე კედელ ყურენი, ვეჭვ თავსაც კარგად ზურავსო,
დავხატე ფერად-ფერადად, ჰგავს რომე იყოს მურასო,
ტალახიანის ფესითა, ნურავინ გაიმურავსო.

---

*) სასახლისა და თალარის ქება ლექსად ნათქვამი პირველის მეფის თეიმურაზისაგან გრემის სასახლეზედ ეთქვა და ბაღის სასახლეზედ დაუწერია.

# ანბანთ ქება.

არა ბრძანებ გიორგ დედათ ესე ვიყავ ზეზ ჱეთერად,
თმათ იკარ კუკ-ლალ მომცემ ნებვნე, ჲებვენ ოს პროკოპ ჟღერად,
როგორ საქმს ტას უკეთ ფეფ ქექ ღორღ ყუყ შიშ ჩამომჩქეტერად,
ცივ-ცივი ძეძ წეწ ჭმუჭ ხეს ჴოპიკ ჯოჭჯი ჰაი ჵომერად.

# ანი და ჵი.

ალმეძრა ბაგე, გულის დადებით ეუწყო ვის-ზედ ჱესრეთ თქმულება,
იყნოსე კეთილ ლმობა მონისა, ნაცხებ ორ პირად ჟამ რის სხმულება,
ტრფიალ უფრო ფეროვან ქმნილი ღირს ყოვლად შენგან ჩინს ცემულება,
ძველად წყლულება, ჭვრეტად ხელობა, ჴამს ჯავრისაგან ჰაი ჵება.

# გლოვა დედუფლისა.

ჟამი გარდასხდა შვებისა, მოვიდა გლოვა წუხილი,
ლხინმან მიმრიდა, შემექმნა გულს ურვა თვალთა წუხილი,
ღვარი სდიოდა სისხლისა, ცრემლთა ისმოდა ქუხილი,
და ნადიმი აღკრბა, სერობა, ვეღარ მაჭამეს წუხილი.

მოვსთქვემდი: მზეო! დამაგდე ცეცხლი მომიდევ წამალი,
მე გლას უშენოდ ოხერმან მუნ ვერა ჰპოვო წამალი,
ბროლი და ლალი შეთხზულნი მიწათა შიგა წამალი,
და სუფევა ჰპოვე უკვდავი წმიდათა თანა წამალი.

წამწამთა რაზმმა დაჰფარა თვალნი გიშრისა დაღეულა,
მშვილდი შავისა კემუსტით შემოსით ვითა მოზულა,
თმა ამბრის ფერი შეწმასხნით მიწამდის ჩამოწეულა,
და ვითა ვსთქვა საქმე საზარო, ჩემზედა რა მოწეულა.

ბაგეს ვით ვარდის ფურცელსა, აწ ვხედავ გაყვითლებულად,
მას შიგნით თეთრსა კბილებსა სადაფ მარგალიტებულად,
ენასა შაქრით უტკბოსსა, ვხედავ უძრავად დებულად,
და ჰოი და ვაჲმე რაღა ვქნა, აქა ვზი ცეცხლ მოდებულად.

ცხვირს ზომიერად ჩამოწვდილს, სულ ფშვივის სუნნელებასა,
პირი ერთ პირად შექმნილი უალოდ გამთვრალებასა,
რომელმან ენა აღმოთქვას სინაზე, მკლავი ხლებასა,
და ვითა დაასვენ განწირვა შენ ჩემი გულ ნალებასა.

ვაჲმე წახდა ვისა ჰქონდა ყელი ბროლისა სურათა,
ვერ გამოხატოს მხატვარმან ჩინელმან მასმან სურათა,
მჭვრეტელთა სატროფიალო, უნახთა მოსასურათა,
და ვა! რად გამხადე უბრალოდ სისხლის ცრემლ გასაცურათა.

ვა, რად მიმეც შავს მიწას, პირ ვარდი ბროლ ფიქალია,
ბრწყინვალე და შუქთა მფენი, აწ ეთერ ფერ გამქრალია,
შენ სიცოცხლეს ვერ აიღებს ბევრის ცდით სხვალა ქალია,
შენ გამხადე დასაწველად გარ მმიგზნე მე აქ ალია.

რად დააგდე ეს სოფელი, რამცა მაკლდა მისი ნივთი?
სახელმწიფო ქმარი შვილი, რად გასადე ოხრად ვითი,
სამუდამო ლოცვა წირვა, ფსალმუნებს ან დავითი,
პირსა შენსა შუქი ჰკრთოდა ეგე ადრე რათ წაირთვი.

მე გამწირე საყვარელო, ლევან *) რად ჰყავ საბრალობლად,
ალექსანდრე *) ნებიერი ვით დამიგდე მე ეს ობლად,
შენ უბრალოდ ტახტს ახარებ, თავსა შეიქმ საბრალობლად,
მე გამხადე მტერთ გულისად ბედისა და სოფლის მგმობლად.

გვირგვინთ ნაცვლათ ჩაჩსა მბურავ, სკიპტრად მაძლევ შავსა ჯოხსა,
პორფირად მაცმევ ძაძასა, ტახტად დამიდგამ შავს ქოხსა,
გამაბედინე, დამაგდე ვკვირავ მე გუშინ და მნახსა,
უდროოდ ამ ყოფისათვის უბნობენ სოფლის საზრახსა.

ვით წესია გარდვიხადე, გლოვა დიდი სულთ წესები,
სულთქმა ასი სამუდამო და ტკივილი საკვნესები,
ვიჯექ ბნელსა ცეცხლ ნადები, ნათელ შრეტით დანავსები,
ნაღველს ვსდემდი სამსალითურთ გული მქონდა შესავსები.

ორმოცამდის ბნელსა ვიჯე სინათლეს ძვილსად ვნახევდი,
თავსა ვცემდი, ვსტიროდი, ცრემლთა ღაწვთა ვჰხედავდი,
შენც შემიბრალე არიფო, მოდი და ჩემთან ახევდი,
ნუ გეშინის მცე სიტყვითა ღონეს რას მომინახევდი.

---

*) ლევანი იყო ძე თეამურაზისა.

*) ალექსანდრე იყო ძე თეიმურაზისა.

# ანბანთ ქება.

ანო ალვისა, ბანო ბროლო, განო გარევით ნაყოფად ესხეს,
დონო დავსწამე, ვარდსა შევსწამე, სიტურფე თურე მისგან ეს ესხეს,
ენო ედემსაც, ვინო ხარ ზენათ ზნეთ სჭირდეს სხვამანც ესე სხნეს,
ჱეო ჱეთერი, თანო თუ მასთან, ინო იჯდეს თუ გარეგან ესხეს.

კანო კბილ თეთრსა, ლას ლალი სცავს მან მუნვე ჩემი უკეთესობდეს,
ნარო ნარგიზითა, ონო ორპირი გულსა ლახვარი უკეთესობდეს,
პირო პირ მზესა, ჟანო ჟამთაგან, რა რომელს დარჩა უკეთესობდეს,
სანო სწავლისა, ტარო ტივიალსა, უნო უხმს სიტყვას უკეთესობდეს.

ფარო ფერად გავს, ქანო ქაღალდსა ესრეთ იცნობენ უკეთესობდეს,
ღანო ღაწვ ვარდო, ყარო ყბად ფერობს შინო შავარდენს თვალი უშავე,
ჩინო ჩინელთა, გამოჩენილთა, სახე უტურფე ვერ ვამუშავე,
ცან ცად მთვარე, ესრე უარე, ბროლზე ყორნისა თეთრზე აივუშვე.

ძილო ძლივ სული მაქვს ამოსული მისგან გვეზომა განწეიებება,
წილო წამწამად ისრის გულს წამად ლახვარს უწყალოდ განეწონება
ჭარო ჭკუანსა, გონებიანსა, მის სხვასთან ტურფა განეწონება,
ხანო ხე ალვა მართებს დამალვა მას სარო ნორჩთაგან განეწონება.

ჴარო ხორცთაგან ჩემთან სხვათაგან, ბაგე სვამს ხარობ ესრეთ
მის დარად,
ჯანო სჯობს ეს მათ მნათობთაც ესმათ ვინამც იპოვოს სხვამცა მას
❧ რად,
ჰავსო ჰავსი ცრემლით ნავთ ავსი, ვინც გამოიყვანოს მე იქმის დარად,
ჵო ჵდეს მზეს მისგან უზესა ვერ ვხედვით შუქით სხივთა მის ❧ რად.

# შენიშვნა

მეფის თეიმურაზის ნაწერები დღევანდლამდის გაჰნეულია სხვა-და-სხვა ძველს წიგნებში. თეიმურაზის ზოგი ნაწერები მრავალთ სხვა-და-სხვა გადამწერთაგან სხვა და სხვა პირის სახელებით არის გადაწერილი და მითვისებული! გარდა ამაების მრავალთ გადამწერთაგან თეიმურაზის ლექსები ერთმანეთშია არეული, ზოგი ერთი ლექსის თავი მეორე ლექსის შუაშია მოქცეული, ზოგი ბოლოს და ზოგიც თავში. ჩვენის გადამწერლებისაგან ქართული ძველი მწერლობის საქმე ისე არეულ დარეულა, რომ აქ კაცით თუ ძველი მწერლობის კარგათ მცნობი არ არის, უამისოდ ის ვერას გააწყობს. აი სწორეთ ამ მიზეზების გამო მთელი ორი წელიწადი ვეწვალე ბესიკის და თეიმურაზ მეფის ლექსების შეკრებას, გაცნობს და ბეჭდვას.

თეიმურაზის ნაწერებში მოქცეული ,,ეს არის სიბრძნე ბერძენთა'' ზოგს ხელთ ნაწერებში მოქცეულია და თავზე აწერია, რომ თეიმურაზ მეფეს ეკუთვნისო, ზოგში-კი არჩილს აკუთვნებენ, ასევეა მოქცეული ესევე ლექსი თეიმურაზისა და რუსთველის ბაასში, რომელიც არჩილ მეფეს ეკუთვნის. ერთ ძველს ხელთნაწერში კი სადაც აღმოჩნდა, რომ ეს ლექსი თეიმურაზ პირველს ეკუთვნისო, ამიტომ ეს ლექსი აქ შემოვიტანეთ. ასევეა არეული პოემა ,,მაჯამა'', რომელიც ზოგს ხელთნაწერებში სხვანაირათ არის ნაწერი და ზოგში სხვანაირათ. ზოგს ხელთნაწერის ,,მაჯამის'' შუა არის მოქცეული ლექსი ,,ქება ნესტან დარეჯანისა'' და ზოგს ,,მაჯამის'' ხელთნაწერების თავს არის მოქცეული. აქ მოქცეული ,,მაჯამა'' გადმობეჭდილია 1852 წ. ,,ცისკრიდამა'', რომლის 54 ტაეპის შემდეგიდამ სხვა და სხვა ძველ ხელთ ნაწერებში მოქცეულს ,,დედოფლის ნესტან დარეჯანის ქებას'' ეთანხმება, ეს სულ 29 ტაეპია, ამის შემდეგ კი ისევ ,,მაჯამის'' გაგრძელება იწყება. ზოგს ხელთნაწერებში კი აქ დაბეჭდილის ,,მაჯამის'' თავი შუაშია მოქცეული. ერთ ხელთნაწერის ,,მაჯამის'' ბოლოში ორი ტაეპი აღმოჩნდა, რომელიც ჩვენ ვერ შემოვიტანეთ აქ, რადგანაც მომეტებულს ხელთნაწერებში ეს ორი ტაეპი არ აღმოჩნდა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ადგილები თვით თეიმურაზის გამო-ჴოკვებული უნდა იყოს, რადგანაც ამ ორს ტაეპში თეიმურაზი თავის თავს რუსთველზე მაღლა აყენებს და სწერს, რომ ,,მაჯამას'' შემდეგ განა რუსთველი კიდევ უნდა მოიწონოთო. მაგრამ ასეთი უცები შენიშვნა თვითვე უკანონოთ უგვრძნია თეიმურაზს და ბოლოს წაუშლია. ჩვენ ასე ვფიქრობთ.

ამ ბოლოს დროს ერთი სხვა ცნობა აღმოსჩნდა კიდევ, რომლითაც აშკარავდება, რომ ადრიდგან ცნობილი თეიმურაზისაგან ნათარგმნი პოემა ,,ლეილ მეჯნურიანი'' სპარსულიდამ თეიმურაზ მეფეს კი არ უთარგმნია, არამედ ზაალ თუმანიშვილს, ეს თუმანიშვილი კარგა ხანი სპარსეთში ყოფილა და იქ უთარგმნია, ამ თარგმნის შესახებ თვით თუმანიშვილი სწერს ერთ ლექსსა და ამ ლექსში იმას მოგვითხრობს, რომ ზაალ თუმანიშვილმა სპარსეთში ყოფნის დროს ვსთარგმნეო. ასეთივე ცნობები აღმოჩნდა თეიმურაზის ზოგი ერთი ლექსების შესხებ და ამ დამაბრკოლებელი მიზეზების გამო ჩვენ ამ გამოცემაში მხოლოდ ზემო აღნიშნულს ნაწარმოებთ ბეჭვდით შევაჩერეთ და რაც დღეის შემდეგ აღმოსჩნდება, გაირკვევა და თეიმურაზ მეფეს ეკუთვნება და ამის ნაწერათ აღმოსჩნდება, ყველა ამ გარჩეულთ ნაწარმოებთაც მეორე წიგნში მოვაქცევთ და დავბეჭდავთ.

თეიმურაზ მეფის ლექსების პირველს გვერდზე მოქცეული ლექსი ,,პირველ თქმულია ბერძენთაგან'' დაბეჭდილია ქართულს ქრისტომატიაში და ზედ აწერია, რომ თეიმურაზ პირველისაგან არის თქმული. ბევრს ხელთნაწერებშიაც ასეა მოხსენებული, ზოგში კი ამ ლექსის ერთი ტაეპია დაწერილი და ამ ლექსის სტრიქონების პირველ სიტყვები მეორე სიტყვების ალაგას ზის და მეორე პირველის სიტყვებისა, რომლებსაც კიდური წერილობა აქვს და ,,გოჩა'' გამოიხატება. აქედამ ვფიქრობთ, რომ ეს ლექსი გოჩასი უნდა იყოს, მაგრამ რაკი უმეტეს ხელთნაწერებში თეიმურაზის სახელით აღმოსჩნდა, ამიტომ ჩვენც შემოვიტანეთ ისე.

მეფის თეიმურაზის ნაწერების შესახებ 1885 წ. ,,ივერიაში'' წერილი დავბეჭდე და ვთხოულობდი, რომ ვისმეს თუ თეიმურაზის ხელთნაწერები აქვს, დროებით დაგვითმონ დასაბეჭდათ მეთქი. წერილის შემდეგ არაფერი ხელთ ნაწერები აღმოსჩნდა და ერთ პირს, რომელსაც კაი ძველი ხელთნაწერი ჰქონდა, ამ ვაჟბატონმა ის ხელთნაწერი დამალა და არ აღმოაჩინა, რომ მით მოეცა დაბრკოლება. ეს პირი ბრძანდება სასულიერო და თუ საჭირო იქმნება, მაშინ ცალკეც დავასახელებთ. საქმე ფულზე მივიდა.

1879 წ. ,,ივერიაში'' დაბეჭდილია ლექსი ,,ძველთა და ახალთა ქართველთა მელექსეებზე'' ეს ლექსი არჩილ მეფისა არის, მაგრაა ,,ივერიაშიკი'' თეიმურაზ მეფის სახელი აწერია, ეს ლექსი ასევეა დაბეჭდილი 1852 წ. ,,ცისკარში'' და იქაც თეიმურაზს აკუთვნებენ. თუ ვის ეკუთვნის ეს ლექსი, ეს ,,არჩილიანის'' ბოლოდამა სჩანს და ამიტომ ეს ლექსი თეიმურაზ მეფის ნაწერებში არ შემოვიტანეთ და არც შემოვიტანთ. თეიმურაზ მეფის ნაწერებათ ჩვენ ყველა ის ნაწერები მიგვაჩნია, რაც ზემორე წერილში დავასახელეთ.

ამ ნაწერების შესახებ თუ ვისმეს რამე ცნობები აქვს და თუ მისი ცნობები ჩვენს ცნობებს ეწინააღმდეგება, მაშინ დავავალებთ, რომ მათ თავიანთი შეხედულობა ან ჩვენ გადმოგვცენ და ან ბეჭდვით გამოაცხადონ, რომ მის საშუალებით ავიცდინოთ რამე შეცდომები, თორემ მეორე წიგნში ჩვენ მოვაქცევთ ყველა იმ ნაწერებსა, რაც ჩვენგან ზემოთ არიან დასახელებულნი და დღევანდლამდის დაუბეჭდავათ დაშთომილნი.

ბ. პ. უმიკაშვილმა 1886 წ. „ივერიაში“ წერილი დაბეჭდა და ისაუბრა, რომ თეიმურაზ პირველის და თეიმურაზ II ნაწერები ერთმანეთშია არეულიაო და ამიტომ კაი იქნება, რომ ჭიჭინაძემაც არ აურიოს ესაო. მე მგონია, რომ პ. უმიკაშვილის მხრით უფრო უკეთესი იქნებოდა, რომ ბეჭდვით დაესახელებინა ის, თუ რა არის არეული და ან თეიმურაზ მეფეს რა ეკუთვნის და ან თეიმურაზ მეორესა, თორემ ისეთის დარიგებიდამა და ჩვენებიდამ, როგორიც მან მოუძღვნა მე, აქედამ კაცი ვერას გამოიტანს დავერცა რა თეიმურაზ პირველის ნაწერები გაირჩევა.

ზ. ჭ.

20 ნოემბერი 1886 წ.

ქუთაისის სახ. საჯ...
ბიბლიოთეკა
Кут.